

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი



ნინო სხილაძის სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების უფლებათა დაცვა და მათი  
მიმართება სოციალური მედიის ჭრილში

შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი - პროფესორი, ლიკა საჯაია

თბილისი, 2021

## ს ა რ ზ ე ვ ი

გამოყენებული შემოკლებანი .....	4
ანოტაცია.....	5
Annotation .....	6
შესავალი.....	7

## თ ა ვ ი 1

1. სოციალური მედიის ცნება და მისი სახეები	
1.1. სოციალური მედიის განმარტება.....	9
1.2. სოციალური მედიის სახეები.....	10
1.3. სოციალური მედიის გამოიჯვნა (ძირითადი განსხვავებები) მედიის სხვა სახეებისგან.....	10
1.4. გერმანული მოდელი.....	14

## თ ა ვ ი 2

2. პიროვნული/პირადი არაქონებრივი უფლებები .....	15
2.1. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის განმარტება.....	18
2.1.1. პატივისა და ღირსების დაცვის სამართლებრივი საშუალებები სოციალურ მედიაში;.....	20
2.2. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განმარტება;.....	21
2.2.1. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების სოციალური მედიის ჭრილში;.....	23
2.2.2. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები;.....	25

თავი 3

3. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების უფლების  
მიმართება, პრობლემური საკითხები და ბალანსი მათ შორის..... 29

თავი 4

4. ქართული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა..... 33

თავი 5

5. დასკვნა ..... 39
6. ბიბლიოგრაფია..... 43

## გამოყენებული შემოკლებანი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ა.შ. - ასე შემდეგ

მაგ. - მაგალითად

გვ. - გვერდი

სოც. მედია - სოციალური მედია

სოც. ქსელი - სოციალური ქსელი

იხ. - იხილე

სსკ. - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სგშ. - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია სოციალურ მედიაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების უფლების დაცვის და მათი მიმართების საკითხის მიმოხილვა. სოციალური მედია დღესდღეობით არის ყველაზე მასშტაბური და მზარდი კომუნიკაციის საშუალება. სოციალური მედია წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, მისი გავლენა დღევანდელ სამყაროზე საკმაოდ დიდია. სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი მსოფლიოში მილიარდობით ადამიანს აერთიანებს, მათ შორის კი არიან ცნობილი პიროვნებები, ლიდერები, რომლებიც აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს.

სოციალური მედია არის სივრცე სადაც უამრავი ადამიანი ერთად იყრის თავს, გამოხატავენ საკუთარ აზრს, აზიარებენ/ავრცელებენ ინფორმაციას, გამოხატავენ იდეებს, აკეთებენ შეფასებებს და სხვა, შესაბამისად დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. სოციალური მედიის ასეთმა განვითარებამ წინ წამოწია აღნიშნული სფეროს სამართლებრივი რეგულირებისა და მისით სარგებლობის გონივრულ ფარგლებში მოქცევის საკითხი.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ადამიანთა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და პატივისა და ღირსების უფლებები ხშირად ირღვევა სოციალურ მედიაში, მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა პირთა არაქონებრივი უფლებების სამართლებრივი მიმოხილვა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, პატივისა და ღირსების უფლებათა დაცვა და მათ შორის მიმართება და ბალანსის არსებობის საჭიროება. აღნიშნული საკითხები კი მიმოხილული იქნება როგორც ქართული ასევე საერთაშორისო პრაქტიკისა და საკანონდებლო მოდელის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

## Annotation

The main purpose of this thesis is to review the issue of protection and relation of freedom of speech and expression and the honor and dignity right on social media. Social media is the most widespread and growing means of communication today. Social media is an integral part of modern life, its impact on today's world is quite big. The number of social media users in the world units billions of people, including celebrities, leaders who actively use social networks.

Social media is a space where a lot of people gather, express their opinion, share / disseminate information, express ideas, make assessments and etc., therefore, the fact of the violation of the human rights have been revealed over times. Such development of social media has raised the issue of legal regulation of this field and its use within reasonable limits.

In view of the above, as the freedom of speech and expression and the honor and dignity rights are often violated on social media, this thesis will address important issues such as the legal review of non-property rights, protection and relation of freedom of speech and expression and honor and dignity rights and the need for their balance. These issues will be reviewed based on a comparative analysis of both, Georgian and international practice and the legislative model.

## შესავალი

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის, ინფორმაციის მიღების / გავრცელების და აზრთა მიმოცვლის საჭიროება ადამიანთა შორის უხსოვარი დროიდან არსებობდა და არსებობს სამყაროში, დროთა განმავლობაში კი ვითარდებოდა და იხვეწებოდა ის საშუალებები, რომელიც კომუნიკაციას უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა და გაამარტივებდა, რასაც მოწმობს უძველესი გამოსახულებების არსებობა გამოქვეყნებულში, ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა / გამოქვეყნება, რადიომაუწყებლობა, მოგვიანებით ტელევიზია და შემდეგ კი უკვე ინტერნეტ სივრცე, რომელსაც უამრავი მომხმარებელი ყავს და დღესდღეობით ყველაზე ხელმისაწვდომი, პოპულარული და მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო, საინფორმაციო საშუალებაა.

სოციალური ქსელების მომხმარებლები ხშირად გამოხატავენ საკუთარ შეხედულებებს სხვადასხვა საკითხზე, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა, აზიარებენ პოსტებს, ავრცელებენ და იღებენ ინფორმაციას, როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვა პირებსა თუ მოვლენებზე, აქვეყნებენ საკუთარ ფოტოებს, შედიან მესამე პირებთან კომუნიკაციაში, ხშირად დისკუსიაშიც. სწორედ იქ სადაც ადამიანები სარგებლობენ საკუთარი უფლებებით, სადაც გრძნობენ თავს თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს, ავრცელებენ ინფორმაციას, აქვეყნებენ საკუთარ ფოტოებს და საჯაროდ ყვებიან თავიანთ ცხოვრებაზე გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ძალიან მარტივად არღვევენ ერთმანეთის უფლებებს. ამ ნაშრომის მიზანი კი არის ის, რომ გამოიკვლიოს რამდენად რეალური და შესაძლებელია კონსტიტუციით მინიჭებული და გარანტირებული, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების დაცვა, მათი მიმართება ერთმანეთთან სოციალურ მედიაში, არის თუ არა ისინი დაცული და რა სამართლებრივი ბერკეტები არსებობს საამისოდ, სად გადის ზღვარი საკუთარი უფლებებით სარგებლობასა და სხვისი უფლებების დარღვევას შორის, როდის უნდა შეიზღუდოს თავისუფლება და როგორი პრაქტიკა არსებობს ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით.

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში მიმოხილული იქნება სოციალური მედია (მისი განმარტება, სახეები და გამიჯვნა მედიის სხვა სახეებისგან), მისი სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები და რეკომენდაციის სახით მოკლედ იქნება საუბარი სოციალური მედიის რეგულირების გერმანულ მოდელზე. შემდეგი თავი დაეთმობა პირადი არაქონებრივი უფლებების განხილვას ზოგადად, შემდეგ კი უშუალოდ დეტალურად იქნება ჩაშლილი პატივისა და ღირსების უფლება, მისი განმარტება და დაცვის სამართლებრივი საშუალებები სოციალური მედიის ჭრილში. მომდევნო საკითხად, ასევე დეტალურად მიმოხილება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, მისი განმარტება და დაცვის სამართლებრივი საშუალებები, ასევე სოციალური მედიის ჭრილში, განხილული იქნება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები. მესამე თავი შეეხება უშუალოდ

წინამდებარე ნაშრომის სათაურს, რომელიც მოიცავს ორი ფუნდამენტური უფლების მიმართებას, პრობლემურ საკითხებსა და ბალანსს მათ შორის, და ბოლოს განხილული იქნება ქართული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკიდან განსახილველი საკითხის შესაბამისი მაგალითები.

წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა შემდეგ კვლევის მეთოდებს: სისტემური და ლოგიკური ანალიზი, ასევე გამოყენებულია ნორმატიული, სასამართლო პრაქტიკისა და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი კანონები, განსახილველ თემასთან დაკავშირებით ქართველ ავტორთა ნამუშევრები / წიგნები, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.



თავი 1. სოციალური მედიის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები;

### 1.1. სოციალური მედიის განმარტება

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მედია ონლაინ კომუნიკაციის ფორმაა, რომელიც თავისი მრავალფეროვანი და სხვადასხვა სახეებით საშუალებს აძლევს მის მომხმარებლებს ისარგებლონ მისი ყველა ბენეფიტით. „სოციალური მედია ელექტრონული მედიის ერთ-ერთი მიმართულებაა. იგი ინფორმაციის აუდიოიზუალიზაციის საშუალებით „გამოსახულებით ეფექტს“ ახდენს საზოგადოებაზე.“<sup>1</sup> „ტერმინი „სოციალური მედია“ სოციალურ აქტივობასთანაა დაკავშირებული. იგი საზოგადოების ცალკეული წევრის (ან წევრთა გაერთიანების) მიერ შექმნილი მედიასაშუალებით ხორციელდება. სოციალური მედიის დეფინიცია გამომდინარეობს მისი ფუნქციიდან და შინაარსიდან.“ თითოეული მომხმარებლისთვის სოციალური მედიის მთავარი დანიშნულებაა მისი იმგვარი გამოყენება, რომ მისთვის საინტერესო პროცესის ხილვის, შეფასებისა და რეალიზების საშუალება ჰქონდეს, რაც გულისხმობს კომუნიკაციის საშუალებას სოციალური მედიის სხვა მომხმარებლებთან, სასურველი ინფორმაციის მოძიებასა და გაზიარებას, საკუთარი აზრებისა და პოზიციების დაფიქსირებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.<sup>2</sup>

„მედიის საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციით განისაზღვრება და სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებით ასახვას პოვებს კონკრეტულ კანონებში. მედია და, შესაბამისად, მისი საქმიანობის განხორციელება განხილულ უნდა იქნეს ორ ძირითად – ტრადიციულ და ალტერნატიულ ასპექტში. პირველი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებია; ალტერნატიული მედიის საშუალებად კი მოიაზრება მეორადი მასობრივი კომუნიკაცია, რომლის განხორციელებაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია. მაგალითად, ინტერნეტბლოგების შექმნა, სოციალური ქსელები, რომელზეც იტვირთება ფიზიკური პირის მიერ გარკვეული ინფორმაცია, ან გამონათქვამები და სხვ.“<sup>3</sup> მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ინტერნეტიც არის მედია. როგორც მოგეხსენებათ. სოციალური მედია არის კანონმდებლობაში დამკვიდრებული ტერმინი. ყოველივე ამასთან ერთად, ნელ-ნელა დამკვიდრდა ისეთი ცნებები, როგორცაა „სოციალური მედია მარკეტინგი“, „კამპანიის წარმოება სოციალურ მედიაში“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური მედია, სოციალური ურთიერთობის დამყარების / კომუნიკაციის მიზნით ერთ-ერთ ყველაზე გამოყენებად საშუალებად გადაიქცა, ამან კი კლასიკური რეკლამის სახეობების

<sup>1</sup> სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი, გვ. 21

<sup>2</sup> სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი, გვ. 36  
Chmelik, Social Network Sites — Soziale Netzwerke, 37-38.

ასათიანი, სოციალური მედია სკოლაში, 30.

Kramer in Handbuch IT- und Dataschutzrecht, Auer-Reinsdorff/Conrad (Hrsg.), §28, Rn. 70.

<sup>3</sup> სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 20

შემცირებაც გამოიწვია და რეკლამების გავრცელებამ გადმოინაცვლა სოციალურ მედიაში, უმეტესწილად. <sup>4</sup>

## 1.2. სოციალური მედიის სახეები

როგორც მოგეხსენებათ, სოციალური მედიის მრავალი განსხვავებული სახეობა არსებობს, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება მოკლე ჩამონათვალი მნიშვნელოვანი და ყველაზე პოპულარული სოციალური მედიის სახეებისა, როგორცაა: სოციალური ქსელები, ვიკი, ბლოგები, მულტიმედია, მომენტალური შეტყობინების საშუალება და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალური ქსელები არის ყველაზე პოპულარული სოციალური მედიის სახეობა, რომლის საშუალებითაც მისი მომხმარებლები ამყარებენ კავშირს / კომუნიკაციას ერთმანეთთან, შესაძლოა ამას ჰქონდეს პოლიტიკური, საქმიანი თუ სხვა ხასიათი, ასევე შესაძლებელია მიიღონ შემოსავალი. სოციალური ქსელებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია „Facebook“, „Instagram“, „Twitter“, „Linkdin“ და სხვა მრავალი. ასევე, აღსანიშნავია ვიკი, რომლის ხსენებაზეც, ალბათ ყველას გაგვახსენდება ყელაზე ცნობილი საინფორმაციო სოციალური მედიასაშუალება - „Wikipedia“, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის როგორც მოძიება, ასევე განთავსება, რაც ხშირად იწვევს მცდარი ინფორმაციის გავრცელებას / გასაჯაროებას და აუცილებელია მისი რეგულირება და საჭირო ზომების მიღება. ბლოგი, ეს არის სივრცე, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, პოზიცია, განათავსოს სტატია და სხვა, ყოველივე ამაზე კი მკითხველი აფიქსირებს საკუთარ აზრს და შესაძლოა გაიმართოს დისკუსიაც. „ბლოგი შეიძლება მოვიაზროთ როგორც კლასიკური მედიისა და სოციალური მედიის ერთგვარი ნაზავი.“ მომენტალური შეტყობინების საშუალებებია - „WhatsApp“, „Viber“ და სხვა, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ადამიანთა შორის პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება და ძირითადად მხოლოდ ამ მიზნით გამოიყენება. მულტიმედიის ყველაზე ცნობილ და გავრცელებულს სახეს წარმოადგენს „Youtube“, რომელსაც უამრავი მომხმარებელი ყავს, აქ ნებისმიერ ადამიანს აქვს შესაძლებლობა განათავსოს ვიდეო და ძალიან ფართო მასებს გააცნოს საკუთარი თავი, შემოქმედება თუ სხვა, მისი გამოყენება შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებსაც.<sup>5</sup>

## 1.3. სოციალური მედიის გამიჯვნა (ძირითადი განსხვავებები) მედიის სხვა სახეებისგან

როდესაც ვსაუბრობთ მედიის სხვა სახეებზე, აუცილებელია აღინიშნოს რომ ძირითადად არბობს მედიის ოთხი სახეობა, როგორებიც არის: რადიომაუწყებლობა, ტელემაუწყებლობა,

<sup>4</sup> სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი, გვ. 38

<sup>5</sup> სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი, გვ. 38-43

ინტერნეტმედია და ბეჭდური მედია.<sup>6</sup> მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავებების წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია მათი განხილვა ინდივიდუალურად.

თავდაპირველად, განვიხილოთ ბეჭდური მედია, რომელიც მოიაზრებს გაზეთების, ჟურნალების გამოცემას და სხვა ბეჭდურ გამოცემებს ხასიათდება მისი დეტალურობით, რაც გულისხმობს რომ ის სხვა მედიასაშუალებებისგან, მაგ. როგორცაა რადიო და ტელემაუწყებლობა, თავის მომხმარებელს აძლევს საშუალებას, რომ უფრო დეტალურად და ვრცლად გადმოსცეს ინფორმაცია, რაც თავის მხრივ მეტ საშუალებას აძლევს მომხმარებლებს დაამუშაოს ინფორმაცია. საქართველოში ბეჭდური მედიის შესახებ არ არის კონკრეტული კანონი მიღებული, რაც სრულყოფილად მოაწესრიგებდა ამ სფეროს, მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობის საკითხი ამ სფეროში საკმაოდ მაღალია და პრესა უნდა იყოს ობიექტური და დამოუკიდებელი.<sup>7</sup>

რაც შეეხება მაუწყებლობას, ის მოიცავს ტელე და რადიო მაუწყებლობას, ამ შემთხვევებში სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა და მოწესრიგება ხდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მაუწყებლობა არის რეგულირებადი მედია, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ახდენს ლიცენზირებას და აღნიშნული საქმიანობის გარკვეულ ჩარჩოებს უდგენს.<sup>8</sup> აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ასევე დასაშვებად მიიჩნებს მაუწყებლობის ლიცენზირებას: „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.“<sup>9</sup> რადიომაუწყებლობა არის ინფორმაციის გავრცელების საშუალება. დღესდღეობით რადიო მაუწყებლობა მოიაზრებს როგორც საინფორმაციო, ისე მუსიკალურ და სხვა პროგრამებს. აქვე უნდა ვისაუბროთ ტელემაუწყებლობაზეც, რომლის როლი თანამედროვე მსოფლიოში შეიძლება ითქვას, რომ უფრო დიდია ვიდრე რადიომაუწყებლობის. ტელემაუწყებლობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინფორმაციული ბიზნესის სახეობას წარმოადგენს, აღსანიშნავია რომ დღესდღეობით ის ინტერნეტის საშუალებითაც კი არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მაუწყებლობისა და მედიასამართლის სუბიექტთა სამართლებრივი მოწესრიგება და სამართლებრივი ფარგლების განსაზღვრა.<sup>10</sup>

<sup>6</sup> სერგი ჯორბენაძე, უმანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 28

<sup>7</sup> სერგი ჯორბენაძე, უმანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 28

<sup>8</sup> სერგი ჯორბენაძე, უმანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 29

<sup>9</sup> საკანონმდებლო მაცნე - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

<sup>10</sup> სერგი ჯორბენაძე, უმანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 29-30

ინტერნეტის სამართლებრივ მოწესრიგება, როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე ნაშრომში საქართველოს კანონმდებლობით ერთი კონკრეტული კანონის საფუძველზე არ ხდება, შესაბამისად ინტერნეტში არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე უნდა გავრცელდეს კონკრეტულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმები (მაგ. თუ შეურაცხმყოფელი ინფორმაცია გავრცელებულია ინტერნეტში პირთან დაკავშირებით და მას ამით ზიანი მიადგა მას შეუძლია დააყენოს პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად. ინტერნეტს დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ პროცესებზე, რასაც საქართველოს კანონმდებლობაში რაიმე კონკრეტული მარეგულირებელი ნორმა არ აქვს, ასევე, მისი გამოყენება კომერციული მიზნებითაც ხდება. „აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემურია საკითხი, როდესაც ინტერნეტის საშუალებით მოწვევა ოფერტზეა განხორციელებული, თუმცა ოფერენტის მიერ ნების გამოვლენის გააზრება იმ კონკრეტულ სფეროში არაპროფესიონალი პირების მიერ შეუძლებელია. ასეთ დროს ინტერნეტის საშუალებითვე უნდა იქნეს დაკონკრეტებული ოფერტში გაცხადებული შინაარსის დეტალები, რათა შეცდომაში არ შევიდეს ინტერნეტმომხმარებელი. ამდენად, პირს, რომელსაც სურს ინტერნეტის საშუალებით მოიძიოს განსახორციელებელ სამართლებრივ ურთიერთობაზე კონკრეტული სახის კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, ასეთივე შინაარსის მქონე სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე არსებულ კანონებს უნდა გაეცნოს. მაგ., სახელმწიფოებო ურთიერთობების დარღვევისას სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უნდა განხორციელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაწერილი შესაბამისი სახელმწიფოებოსამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე.“<sup>11</sup>

სოციალურ მედიასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ის მედიის გამოცდილებას იზიარებს და მას ეყრდნობა. ის აადვილებს ადამიანთა შორის კომუნიკაციას, ურთიერთობის დამყარებას (რასაც ადასტურებს საქართველოში ჩატარებული კვლევებიც), ინტერაქციულ ინფორმაციას. დღესდღეობით სოციალური მედია გამოიყენება საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვისა და ამომრჩეველთათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.<sup>12</sup>

თუკი სოციალურ ქსელში პირი საკუთარ კედელზე გამოხატავს საკუთარ აზრს / გამოაქვეყნებს პოსტს მაგ. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, გააკრიტიკებს მას და მის აზრს გაითვალისწინებს სხვა მომხმარებელიც ამ შემთხვევაში ვერ გამოიკვეთება გამოხატვის თავისუფლება ან ინფორმაციის თავისუფლება, რადგან ასეთი პოზიციის დაფიქსირების საშუალებას იძლევა სოციალური ქსელი თავისი ბუნებიდან გამომდინარე და ასეთი ინფორმაცია შესაძლოა გასაჯაროვდეს პირთა განუსაზღვრელი წრის მიერ. ის

<sup>11</sup> სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 35-37

<sup>12</sup> სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 37

ინფორმაცია, რომელსაც პირი განათავსებს საკუთარი სოციალური ქსელის გვერდზე თავისთავად იძენს საჯარო ხასიათს.<sup>13</sup>

„აღნიშნულის თაობაზე მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელიც აღნიშნავს, რომ სოციალურ ქსელში დამეგობრებული პირებისთვის ინფორმაციის გავრცელების მაგალითს არ წარმოადგენს კონკრეტული მოსაზრების საჯაროდ დაფიქსირება და ასეთი ქმედება კონკრეტული ფაქტის გასაჯაროების საფუძველია, ვინაიდან ტერმინი „საჯარო გავრცელება“ ანუ გასაჯაროება, არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ ტელევიზიასა ან რადიოში გავრცელებას.“<sup>14</sup>

მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ ხშირად ჟურნალისტთათვისაც კი არის ინფორმაციის წყარო სოც. ქსელები, თუმცა ჟურნალისტის მხრიდან აუცილებელია ინფორმაციის მოპოვების პირველადი წყაროს მითითება. ასევე, ინფორმაციის გადამოწმებისთვის შესაძლებელია ჟურნალისტმა სოციალური ქსელის საშუალებით დაუსვას შეკითხვა პირს (მაგ. კონკრეტულ თანამდებობის პირს), თუმცა ამავდროულად დაიცვას კონფიდენციალურობა და შეკითხვა არ გაასაჯაროს, კითხვა არ უნდა იყოს დასმული საჯაროდ, მაგალითად პირის კედელზე (თუ არ არის მაღალი ასოზგადგომრივი ინტერესი კონკრეტული საკითხის მიმართ). განსხვავებულია შეკითხვის დასმა სახელმწიფო ორგანოს მიმართ, ამ შემთხვევაში საჯაროდაც არის შესაძლებელი. განსხვავება არის ის, რომ პირს შესაძლოა შეელახოს საქმიანი რეპუტაცია, რასაც ვერ ვიტყვით ადმინისტრაციულ ორგანოზე, თუკი ამას დავუშვებთ მაშინ შესაძლოა გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ზღვარზე შესაძლოა მივიდეთ, რაც შორს იქნება დემოკრატიული სახელმწიფოს კოცეფციისგანაც.<sup>15</sup>

კიდევ უფრო პრობლემურია საკითხი, რომელიც სოციალურ მედიაში პირის პასუხისმგებლობას საერთაშორისო ხასიათს ანიჭებს. მაგ. საქართველოს მოქალაქის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით, მისსავე პირად კედელზე გასაჯაროებულ იქნა ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ამერიკის მოქალაქეს შეეხება. ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ ინფორმაციის გასაჯაროებით მას მიაღდა გარკვეული ზიანი, კერძოდ, შეელახა საქმიანი რეპუტაცია. როგორი სამართლებრივი მოქმედების შესაძლებლობა გააჩნია მას? საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილსამყოფელის მიხედვით წარედგინება. ამასთან, „საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია იმ შემთხვევაში გააჩნიათ, თუ სარჩელი ეხება

<sup>13</sup> სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 38

<sup>14</sup> სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 38

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

<sup>15</sup> სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი, გვ. 39-40

მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა. როგორც კანონიდან ჩანს, ერთად უნდა არსებობდეს ორი პირობა: მიყენებული ზიანი და ქმედების საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელება. კავშირი „და“ აღნიშნულ ორ პირობას უძღვის წინ, რომელთაგანაც ერთ-ერთი მათგანი – ზიანის მიყენება – არსებობს. პრობლემურია საკითხი, მიადგა თუ არა პირს ზიანი საქართველოს ტერიტორიაზე. სოციალური ქსელის მომხმარებელი შესაძლებელია ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე იმყოფებოდეს. სოციალურ ქსელში საქართველოს მოქალაქის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მის ყოფნას არ ადასტურებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური ქსელის გამოყენება არ წარმოადგენს ტერიტორიულობის პრინციპის განსაზღვრის სამართლებრივ წინაპირობას. ზოგადად, ტერიტორია გეოგრაფიულ და პოლიტიკურ კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული. განსახილველ შემთხვევაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია ტერიტორიის გეოგრაფიულ კონტექსტში მოაზრება. გლობალიზაციის პირობებში საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია პირის უფლებების დაცვა მის წინააღმდეგ სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციის შემთხვევაში, მითუმეტეს მაშინ, როდესაც იგი უცხო ქვეყნის მოქალაქეს და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ პირს წარმოადგენს. ამ მხრივ მსჯელობა უნდა წარიმართოს კანონის ანალოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, პირს შეეძლება საკუთარი უფლებების დაცვისთვის მიმართოს იმ ქვეყნის სასამართლოს, რომელ ქვეყანაშიც პროცენტული ოდენობით ან ყველაზე მეტად (დამოკიდებულია პირის ცნობადობაზე) მოხდა მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ასეთი ქვეყანა შეიძლება იყოს პირის სამშობლო ან ქვეყანა, რომელიც მას საცხოვრებლად აქვს არჩეული და სხვ.“<sup>16</sup>

#### 1.4. გერმანული მოდელი

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში უშუალოდ სოციალური მედიის მომწესრიგებელი რაიმე კანონი არ არსებობს. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია გავიზიაროთ სხვა უცხო ქვეყნების სამართლებრივი მოწესრიგება / გამოცდილება, განსაკუთრებით კი ალბათ ყველაზე მისაღები და გასათვალისწინებელი შესაძლოა იყოს გერმანული მოდელი, <sup>17</sup>ვინაიდან საქართველო არის რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყანა და უმეტესწილად ვიზიარებთ მათ გამოცდილებას.<sup>18</sup>

„თანამედროვე მედიასამართალში ერთ-ერთ საინტერესო სიახლეს წარმოადგენს გერმანული მიდგომა სოციალური მედიის მიმართ, რომლის თაობაზეც 2017 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი.“ აღნიშნული ახალი კანონი მიზნად ისახავს, რომ დასჯადი ინფორმაციის

<sup>16</sup> სერგი ჯორბენაძე, უმანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი (სერგი ჯორბენაძის საერთო რედაქციით), თბილისი, 2014, გვ. 28

<sup>17</sup> <http://www.gesetze-im-internet.de/netzdg/BJNR335210017.html> (last seen 09.09.2021; 11:00PM)

<sup>18</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 58

გავრცელება აღმოიფხვრას, ასევე, სიძულვილის ენის შემცირების საკითხის რეგულირებას, სხვადასხვა სახის აუკრძალავი ქმედების კანონიერ აკრძალვას.<sup>19</sup> ყოველივე ზემოაღნიშნული ვრცელდება სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომელიც საკმაოდ პრობლემურია საქართველოშიც და საჭიროებს რეგულირებას. საქართველოსთვის ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება აღნიშნული სფეროს რეგულირება, სწორედ ამიტომ ხდება კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დარღვევა და რიგ შემთხვევებში მათი შეპირისპირება, როგორც ეს წინამდებარე ნაშრომში არის განხილული. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიმაჩნია მსგავსი რეგულირების არსებობა საქართველოში.

## თავი 2

### 2. პიროვნული/პირადი არაქონებრივი უფლებები;

როდესაც ვსაუბრობთ პირად არაქონებრივ უფლებებზე, ვგულისხმობთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ.) მე-18 მუხლით დაცულ უფლებებს. პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევად / შელახვად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქმედება (განცხადების ან ფაქტის, უღირსი საქციელის შესახებ ცნობის ან სხვა სახის ცნობის / ინფორმაციის გავრცელება), რომელიც მე-18 მუხლში ჩამოთვლილი უფლებებიდან ერთს ან რამდენიმეს ერთად ხელყოფს.<sup>20</sup> განსახილველი ნორმა განსაზღვრავს არაქონებრივი უფლებების დაცვის ზოგად დანაწესს. აღნიშნულის ფარგლებში, შესაბამისი მოთხოვნის დაყენება კონკრეტული შინაარსის მქონე დანაწესიდან უნდა განხორციელდეს, შესაძლოა ეს იყოს ამ მუხლის შესაბამისი ნაწილი, სპეციალური კანონით მოწესრიგებული სამართლებრივი სიკეთე.<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში დაცულია როგორც სახელის ტარების უფლება ასევე სხვის მიერ სახელის უნებართვოდ ტარებისა და სარგებლობისთვის მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლებს.<sup>22</sup>

---

<sup>19</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 58  
იხ. მაგალითად, Schwartmann, Verantwortlichkeit Sozialer Netzwerke nach dem Netzwerkdurchsetzungsgesetz, GRUR-Prax 2017, 317 ff.  
Lehmle, Medienrecht für PR & Öffentlichkeitsarbeit, 190.

<sup>20</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 18  
სუს განჩინება, 21 ივლისი 2004, Nას-322-605-04.

<sup>21</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 13  
შდრ. სუს განჩინება, 29 მაისი 2002, N3კ-641-02.  
იხ. სუს განჩინება, 1 აგვისტო 2011, Nას-152-146-2011.  
იხ. ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 146

<sup>22</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 13  
ნინიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 59.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია პირის უფლება სასარჩელო მოთხოვნა დააყენოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, თუკი მის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. „არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებია: არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმოყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა (უარყოფა) და ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. თითოეულის სახეზე არსებობისთვის საჭიროა ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე სიკეთე მაინც შეილახოს.“<sup>23</sup> „უფლების შელახვა რეალურ სამართლებრივ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნულზე მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ეჭვი, რაც უფლების დარღვევის ფაქტს არ ასაბუთებს, უფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს. ასეთი დათქმა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვისკენაა მიმართული.“<sup>24</sup>

მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პირის არაქონებრივი უფლებების (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და ა.შ) შემლახველი ცნობების უარყოფას. უარყოფა უნდა განხორციელდეს იმავე საშუალებით, რომლითაც ის გავრცელდა / გასაჯაროვდა. ცნობების უარყოფისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა რომ ისინი იყოს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი. აქვე განსაზღვრულია უარყოფის ორი საშუალება: მასობრივი ინფორმაციის საშუალებითა და ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთის სახით. „თავის მხრივ, უარყოფა შესაძლებელია როგორც მონაცემების გავრცელებით, ისე გავრცელებული არასრული ცნობების სიმართლის შემცველი მონაცემების შევსებით. ამგვარად მოხდება პირველად გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლება.“<sup>25</sup>

რაც შეეხება მე-18 მუხლის მე-4 ნაწილს ის მე-3 ნაწილისგან იმით განსხვავდება, რომ განსაზღვრავს პატივისა და ღირსების მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში შემლახველი ცნობების გავრცელების შემთხვევაში პირის უფლებას გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები იმავე საშუალებაში. ეს ნაწილი გამოირჩევა იმითაც, რომ მხოლოდ პატივისა და ღირსებას ეხებას. „აღნიშნული დათქმა პირს ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას სასამართლოს გარეშე ანიჭებს, ხოლო თავის მხრივ, მედია საშუალების მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში, პირს წარმოეშობა უფლება, სასამართლოს ასეთი ინფორმაციის გავრცელების

<sup>23</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 14  
სუს განჩინება, 1 დეკემბერი 2005, Nას-448-775-05.

სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი 2003, N3კ-1240-02.

სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი 2001, N3კ/376-01.

<sup>24</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 18  
იხ. სუს განჩინება, 3 აგვისტო 2012, Nას-1739-1720-2011.

<sup>25</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 23  
სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი 2003, N3კ-1240-02.

ჭანტურია, პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, 11-12/1997, გვ. 30.

ნინიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 63.



იძულების მოთხოვნით მიმართოს. საპასუხო ცნობებში მოიაზრება პირველად გავრცელებული ცნობების გამომრიცხველი, გამზათილებელი ან განსხვავებული შეხედულების მქონე ინფორმაცია, რომელიც ახსნა-განმარტების სახით, კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებით უნდა გამოქვეყნდეს. კანონი არ განსაზღვრავს საქმიანი რეპუტაციის, ასევე პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის შელახვის შემთხვევაში პირის მიერ ანალოგიური ქმედების განხორციელების შესაძლებლობას.<sup>26</sup>

მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს პირის უფლებას მის გამოსახულებაზე, რომელშიც იგულისხმება ისეთი გამოსახულების გამოქვეყნება, რომლითაც პირის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. მე-18 მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა შეუძლია დააყენოს პირმა მაშინ, როდესაც მისი თანხმობის აგრეშე მოხდა გამოქვეყნება მისი გამოსახულების, თუმცა არსებობს მოთხოვნის დაუშვებლობის წინაპირობაც, <sup>27</sup> რომელიც ამავე ნაწილში არის განსაზღვრული და „დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.“<sup>28</sup>

განხილული მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, თუმცა თუ საუბარია ბრალეულ მოქმედებაზე, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. „ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.“<sup>29</sup>

პირადი არაქონებრივი უფლებები ადამიანებს გააჩნიათ დაბადებიდან გარდაცვალებამდე და რიგ შემთხვევებში გარდაცვალების შემდეგაც კი, მისზე სურვილის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია უარის თქმა. ზემოაღნიშნული ნორმა ითვალისწინებს და თავის თავში მოიაზრებს პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას, აღნიშნული უფლებების დაცვა

<sup>26</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 25  
ბიჭია, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), გვ. 24.

აღნიშნულის თაობაზე იხ. ნინიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 64-65.

შდრ. კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, გვ. 156.

<sup>27</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 26

ბიჭია, პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 142.

სუს გადაწყვეტილება, 8 ნოემბერი 2013, Nას-370-352-2013.

<sup>28</sup> სსკ. მე-18 მუხლი მე-5 ნაწილი

<sup>29</sup> სსკ. მე-18 მუხლი მე-6 ნაწილი

ხდება მისი ხელმყოფისაგან, რომელმაც მოახერხა ამ უფლებების ხელყოფა სხვადასხვა საშუალებებით იქნება ეს მასობრივი საშუალებით ინფორმაციის გავრცელება თუ სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ არაქონებრივი უფლებები არის აბსოლუტური ხასიათის, თუმცა აუცილებელია უნდა გაიმიჯნოს არაქონებრივი უფლებები და გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, რომელსაც წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა. „არაქონებრივი უფლების დაცვის საკითხი (რაც მას აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიაში განსაზღვრავს) გამოხატვის თავისუფლების ზღვარზე გადის.“ „გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია შეიზღუდოს, როდესაც უფლებით სარგებლობა იჭრება სხვის უფლებებში და ხდება შეურაცხყოფა, ცილისწამება. „სწორედ შეზღუდვა შეიძლება გახდეს არაქონებრივი უფლების თაობაზე ზიანის მიყენების მტკიცების და შესაბამისად, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპენსაციის დაკისრების საფუძველი.“ „არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია, როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ნორმების დარღვევისას.“

არაქონებრივ უფლებებს პიროვნულსაც უწოდებენ, რომელიც „ღირსების, პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან ნაწარმოებ უფლებას წარმოადგენს და რომელიც თითოეულ პირს (მათ შორის, სახელმწიფოსაც) პატივისცემის მოვალეობას აკისრებს.“ სსკ-ის მე-18 მუხლში განსაზღვრული არაქონებრივი უფლებები შესაძლოა სპეციალურ კანონში (მაგ. საავტორო სამართლით მოწესრიგებული პირადი არაქონებრივი უფლებები) მოწესრიგებულისაგან განსხვავდებოდეს მისი არსიდან გამომდინარე.<sup>30</sup>

“მედიასამართლის კავშირი სამოქალაქო (კერძო) სამართალთან, უპირველეს ყოვლისა, იმ ძირითადი სამართლებრივი წინაპირობებიდან გამომდინარეობს, რომლის საშუალებითაც პირს გარიგების დადების, უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობისა და სხვა უფლებამოსილებები გააჩნია.” “...მედიასამართლის კავშირის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი კერძო სამართალთან მიმართებით არის პიროვნული უფლებების დაცვის საკითხი, რომელიც სამოქალაქო სამართლის დონეზე მოწესრიგებულ ინსტიტუტს წარმოადგენს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის განხილვაც კი გამოდგება.”<sup>31</sup>

## 2.1. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის განმარტება

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი განსაზღვრავს ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას. <sup>32</sup> საერთაშორისოსამართლებრივ დონეზეც ღირსება უმაღლეს საფეხურზე დგას და მას გამორჩეული როლი აქვს, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში და პირველივე მუხლში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერებს: „ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის ღირსებისა და თანასწორი და

<sup>30</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 3

<sup>31</sup> სერგი ჯორბენაძე, უმანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი (სერგი ჯორბენაძის საერთო რედაქციით), თბილისი, 2014, გვ. 24

<sup>32</sup> საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს კონსტიტუცია, მე-9 მუხლი

განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს“ ; „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“.33 აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება ღირსებასთან მიმართებით, რომელიც მიუთითებს რომ ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი გაგება ვერ იქნება მისთვის ამოსავალი წერტილი და რომ მისი კონსტიტუციურ სამართლებრივი განმარტება არის განსხვავებული: „ ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის რესპექტირებაზე. ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია საზოგადოების შეხედულებას მასზე, ან მის სუბიექტურ თვითშეფასებას. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი.“34 “ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ხოლო სამართლებრივი დაცვის პრინციპის, როგორც პიროვნების სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალების, საფუძველი არის პიროვნების ღირსების უზრუნველყოფის პრინციპი. ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას.“35

ღირსების უფლების დაცვის უზრუნველყოფის რამდენიმე ძირითადი მიმართულება შეიძლება გაოიყოს, რომელიც მოიცავს ადამიანთა თანასწორობას პირველ რიგში, ვინაიდან ადამიანის ღირსებას არაფერი ღაზავს იმაზე მეტად, ვიდრე მისი არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება სხვასთან შედარებით რაიმე ნიშნით (სქესი, კანის ფერი, რასა, რელიგია და ა.შ), გამოყოფენ ადამიანის სულიერი და ფიზიკური სიმშვიდის ხელშეუხებლობას, რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, წამება, არაკუმანური მოპყრობა, მასზე ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობა არის ღირსების შელახვა/დარღვევა. მნიშვნელოვანია ასევე ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა, რაც გულისხმობს ადამიანმა მიიღოს განათლება, ჰქონდეს პროფესია, მიიღოს შემოსავალი და შეიქმნას ღირსეულად ცხოვრების

33 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - სპეციალური გამოცემა 1948-2008; გვ.6-7

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ II-30

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ II-31

პირობები, ადამიანის ღირსებას ლახავს საკვების არქონა, სამედიცინო მომსახურებისა თუ მედიკამენტების ხელმისაწვდომობის შეუძლებლობა და სხვა, სახელმწიფო კი თავის მხრივ ვალდებულია უზრუნველყოს მინიმალური პირობების შექმნა თითოეული ადამიანისთვის. აღსანიშნავია სამართლიანობის დაცვა, რომელიც სამართლის უზენაესობის დაცვას, სამართლიანი კანონების არსებობას და მათ ქმედითობას, სამართლიან აღსრულებას მოიაზრებს. პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფაც ერთ-ერთი მთავარი საფუძველია ადამიანის ღირსების დაცულობისთვის, რაც გულისხმობს, რომ ადამიანის შესაძლებლობების განვითარების, გამოყენების, ცხოვრებისეული სიკეთეებით სარგებლობის, პირადი ცხოვრების მოწყობის, პიროვნების განვითარების უფლებების გარეშე შეუძლებელია ადამიანის არსებობა, თუმცა აქ საკითხავია, რამდენად არის დაცული ადამიანის ღირსება ფაქტობრივად.

რაც შეეხება პატივს, ის საკუთარ თავში მოიაზრებს ადამიანის მორალური და სხვა კრიტერიუმებით შეფასებას, ის ადამიანის რეპუტაციის დაცვას გულისხმობს და საქმიანი რეპუტაციისა და მორალური რეპუტაციის თვალსაზრისით იურიდიულ პირებსაც შეიძლება გააჩნდეთ. უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს კანონმდებლობას თუ გადავხედავთ მისი დაცულობის სტანდარტი არა რის მაღალი. როგორც წესი, მისი შელახვა გაოხატვის თავიფუსფულების დროს ხდება. სასამართლოს საშუალებით რეპუტაციის დაცვის და ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების ალბათობა დაბალია, რადგან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი ამის შესაძლებლობას საკმაოდ ზღუდავს. <sup>36</sup> „საქართველოს კანონმდებლობა დიფამაციის (ცილისწამება) საკითხის გადაწყვეტისას პრიორიტეტს გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებს. „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს, გამოიციხავს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არაერთ შემთხვევაში. გარდა ამისა, დადგენილია პრინციპი, რომ ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ და, მაშასადამე, რეპუტაციის უფლების საზიანოდ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სასამართლო პროცესზე მტკიცების ტვირთი ეკისრება რეპუტაციაშელახულ პირს; მას ევალება დაამტკიცოს, თანაც უტყუარად, რომ განცხადება შეიცავდა ცილისწამებას; მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის დაკისრება, ფაქტობრივად, გულისხმობს ერთგვარი პრეზუმფციის დაშვებას, რომ სახელის გამტეხი ცნობები სინამდვილეს შეესაბამება, სანამ მოსარჩელე არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. ასეთი პრეზუმფციის დაშვება ძნელად თუ შეესატყვისება ადამიანის პატივის „ხელშეუვალობას“,“<sup>37</sup>

### 2.1.1. პატივისა და ღირსების დაცვის სამართლებრივი საშუალებები სოციალურ მედიაში;

<sup>36</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი - თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი - გვ. 110

<sup>37</sup> იხ. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-938-2020

სოციალური მედიის საშუალებით დამყარებულმა ურთიერთობებმა და სხვადასხვა სახის აქტივობებმა, რომელიც უამრავი ადამიანის მონაწილეობით მიმდინარეობს, წინ წამოწია საკითხი თუ რამდენად დაცულია ან როგორ უნდა იყოს დაცული ადამიანის პატივი და ღირსება, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური ადამიანის უფლება როდესაც ის ირღვევა, რაც საკმაოდ გახშირებულია და ყურადსაღებია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხებს იურიდიულ პრაქტიკაში, მეცნიერებასა თუ კანონმდებლობაში.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სსკ. მე-18 მუხლი არის ძირითადად იმის გარანტია რომ მოხდეს აღნიშნული უფლების დაცვა, შესაბამისად შესაძლებელია რომ მაგალითად ცილისწამება ან უფლების შემლახველი გავრცელებული ცნობების იმავე საშუალებით (რომლითაც გავრცელდა) უარყოფა გახდეს ამ უფლების დაცვის მექანიზმი, რაც გაწერილია მე-18 მუხლში: „თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.“ ასევე, პირს, რომელსაც შეეღება პატივი და ღირსება უფლება აქვს რომ გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები იმავე ინფორმაციის საშუალებაში. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის, რომ რაიმე კონკრეტული მოწესრიგება ამ სფეროში არ გვაქვს, ასევე არ არსებობს რაიმე განმსაზღვრელი იმისა, თუ რა შეიძლება მიიჩნიოს სასამართლომ უფლების დარღვევად, შესაბამისად აქ უკვე დგება საფრთხე იმისა, რომ აღნიშნული უფლების დაცვა მისი დარღვევის შემთხვევაში არ არის მაქსიმალურად გარანტირებული, მაშინ როდესაც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებაზე ვსაუბრობთ. შეფასების საგანი ხდება იმის განსაზღვრა თუ რა არის / რა ჩაითვლება უფლების დარღვევად / მის შელახვად, თუმცა სკკ-ის პრაქტიკის მიხედვით „სიტყვები „მოლაღატე“, „პათოლოგიური“, „ურჯულო“ შეიძლება, პირის უფლების შელახვად დაკვალიფიცირდეს.“

## 2.2. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განამრტება;

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი წინაპირობა. „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.“<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია

<sup>38</sup> საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლი

სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია.“<sup>39</sup> ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა: „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს.“<sup>40</sup>

გამოხატვის თავისუფლება ხასიათდება ფართო შესაძლებლობებით პირმა ისარგებლოს მისით იქნება ეს აზრის საჯაროდ ვერბალურად, წერილობით თუ ელექტრონულად გამოხატვა, ასევე ვიზუალური გამოსახულების ფორმით და ა.შ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში სწორედ გამოხატვის თავისუფლებას იცავს. ის იცავს როგორც გამოხატული აზრის, ინფორმაციისა თუ იდეის შინაარსს, ასევე გამოხატვის ფორმასაც.

გამოხატვის თავისუფლება ძირითადად ორი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შედგება, ესენია: აზრის გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება თუ მიღება. გამოხატვის თავისუფლე ეკუთვნის ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, გამონაკლისია ადმინისტრაციული ორგანო.<sup>41</sup> აზრის გამოხატვა მოიცავს ადამიანის მიერ გამოხატულ ნებისმიერ პოზიტიურ / ნეგატიურ, რაციონალურ / ემოციურ და ა.შ. აზრს. აზრის გამოხატვა შესაძლოა განხორციელდეს როგორ მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც. „აზრის გამოხატვის თავისუფლების წინასწარ დადგენილი კონკრეტული საშუალება კანონით არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, აზრი შეიძლება დაფიქსირდეს როგორც სიტყვიერად, ისე — წერილობითი ფორმით, ასევე, სოციალურ მედიაში ვიდეოს გავრცელებით ან პოსტის/სტატუსის განთავსებით და სხვ.“<sup>42</sup> სგმ-ის განმარტებით: „აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს;“<sup>43</sup> რაც შეეხება ფაქტს, ის არისმოცემულობა, მოვლენა, რომელიც შესაძლოა გახდეს აზრის ფორმირების საფუძველი. მაგ. შესაძლოა რაიმე საჯარო ივენთი დაიგეგმოს სოციალური ქსელის მეშვეობით, რომელზეც საზოგადოების ზოგიერთი წევრის მხრიდან განხორციელდა აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით, ივენთის დაგეგმვაზე პოზიციის დაფიქსირება, ხოლო

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

<sup>40</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ

<sup>41</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 115

<sup>42</sup> იხ. სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 116

<sup>43</sup> იხ. სგმ.-ის მუხლი 1. ბ.

უმუალოდ ჩატარებული ივენთის მიმართ პირის მიერ დაფიქსირებული პირადი დამოკიდებულება უნდა ჩაითვალოს აზრად.

რაც შეეხება უმუალოდ ინფორმაციას, თითოეულ ადამიანს შეუძლია მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია. დღესდღეობით სოციალური ქსელების დამსახურებით დაუშრეტელი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი უამრავი წყაროდან და ანალოგიურად შესაძლებელია გავრცელებაც როგორც პირად სივრცეში, დახურულ თუ საჯარო წრეებში. ინფორმაციის მიღება შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. დღეს აღარავის უკვირს, რომ ტელევიზიის, რადიო მაუწყებლობისა თუ ბეჭდური მედიის როლი ჩაანაცვლა და გადაფარა სოციალურმა მედიამ, დღესდღეობით ტელევიზიასაც სოციალურ მედიაში აღმოაჩნთ, რამაც გამოიწვია ის რომ ყურადღების ცენტრში ექცევა სოციალური მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ძალიან ხშირად შეიძლება იყოს მცდარიც და მომხმარებელი შეიყვანოს შეცდომაში. „ეს კი უპირატესად, „Facebook-ით“ მიღებულ ინფორმაციას ეხება, რომლის ხუთი ძირითადი შესაძლებლობაა გამოსაყოფი: ა) მეგობრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გაცნობა; ბ) მეგობრის სახელით გავრცელებული ინფორმაცია; გ) სოციალურ ქსელში არსებული გვერდის (კერძო პირის, მედიასაშუალების, თუ სახელმწიფოს) მიერ გავრცელებული ინფორმაცია; დ) ჯგუფში გავრცელებული ინფორმაცია და ე) პირადად გავრცელებული ინფორმაცია. ჩამოთვლილი ხუთივე შემთხვევიდან, ყველა მათგანი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. შესაბამისად, მათი შეზღუდვისათვის აუცილებელია, არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი (დაცული სიკეთე).“<sup>44</sup>

2.2.1. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების სოციალური მედიის ჭრილში;

გარდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლებისა ზემოაღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, სპეციალური კანონი, რომელიც წინამდებარე ნაშრომში უკვე მოხსენიებულ იქნა და მნიშვნელოვანი დოკუმენტია, როდესაც ვსაუბრობთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, მის დაცვასა თუ შეზღუდვის ფარგლებზე. ასევე, რაც საერთაშორისო დოკუმენტებში ხშირად შეგვხვდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილითაც არის უკვე განსაზღვრული: „ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.“<sup>45</sup> ასეც არის, გამოხატვის თავისუფლება ვითარდება, იხვეწება და იზრდება ამ უფლებით სარგებლობის საშუალებები, რასაც მოწმობს

<sup>44</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 136

<sup>45</sup> საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17

ინტერნეტ სივრცის შემატება, სოციალური პლატფორმები სადაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას მოქმედებას კიდევ უფრო ფართო არეალი მიეცა. ვითარდება იმ ნაწილშიც, რომ ნელ-ნელა იხვეწება სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც იზიარებს ევროპულ მიდგომებს.<sup>46</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში კი ჩამოყალიბებულია მისი შეზღუდვის წინაპირობები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიც განამტკიცებს გამოხატვის თავისუფლებას.

გამოხატვის უფლების დაცვაში იგულისხმება ის საფუძველი, რომელსაც კონსტიტუცია აწესრიგებს. სკ-ს მე 18 მუხლი კი, რომელიც მოკლედ მიმოხილულია წინამდებარე ნაშრომში, უფლების დაცვის უმთავრესი საფუძველია, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი უფლების დაცვის ფარგლებს სპეციალური კანონის დონემდე აფართოებს. „სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მსჯელობაც (თუნდაც მოთხოვნაში ან დასაბუთებაში ცილისწამების საკითხზე არ იყოს ყურადღება გამახვილებული, არამედ მხოლოდ უარყოფაზე) უშუალოდ სპეციალურ კანონს და უპირატესად, ცილისწამების გამო პასუხისმგებლობას ეფუძნება. საინტერესოა, რომ სგშ-ის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნებისმიერი ექვი, რომელიც ვერ დადასტურდება, უფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, თუ ვერ დადასტურდა ის პოზიცია, რომელსაც მოსარჩელე აყენებს, გამოხატვის თავისუფლებას არ დაუწესდება შეზღუდვა. შესაბამისად ჩაითვლება, რომ უფლების რეალიზაციის ასეთი გამოვლინება კანონიერია. თავის მხრივ, ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ განასზღვრავს საქართველოს კანონმდებლობით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში იმ საფუძველებს, რაც დაცული უნდა იყოს ასეთ დროს: ა) პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განხორციელება — აღნიშნულში მოიაზრება იმ მიზნის მიღწევა, რომლისთვისაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გონივრულ ფარგლებში ექცევა; ბ) კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების განვითარება — ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც განვითარების შემაფერხებელი, ასევე ე.წ. „ინფორმაციული ვაკუუმის“ წარმომქმნელი, თვითგამორკვევის უფლების შემზღუდავი და ა.შ.; გ) არადისკრიმინაციული — დაუშვებელია შეზღუდვა მხოლოდ სუბიექტური ნიშნით. კერძოდ, ასეთი შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს პირზე მარტო იმიტომ, რომ იგი რაღაც ნიშნით გამოირჩევა (იგულისხმება დისკრიმინაციული თვალსაზრისით გამორჩევა, მაგალითად, თუ პირი არ არის ქართველი, მაგრამ აკრიტიკებს საქართველოს პარლამენტს, სამინისტროებს და ა.შ. ასეთ დროს შეზღუდვა თანაბრად უნდა დაუწესდეს ყველა ეროვნების წარმომადგენელს); დ) პროპორციულად შემზღუდავი — აუცილებელია, რომ დაცული იყოს „თანაზომიერების პრინციპი“. კერძოდ, შეზღუდვა არ უნდა აჭარბებდეს იმ მიზანს, რისკენაცაა მიმართული ქმედება. ასე, მაგალითად, დაუშვებელია შეზღუდვა დაწესდეს იმგვარად, რომ პირს საერთოდ აკრძალოს სოციალური მედიით ინფორმაციის გავრცელების ან მიღების

<sup>46</sup> სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი, გვ. 114



უფლებამოსილება. აღნიშნულში არ იგულისხმება სპეციალური შემთხვევა (მაგალითად, როდესაც პირი სასჯელს იხდის და სხვ.).“<sup>47</sup>

კერძო სამართლებრივ დონეზე გამოხატვის თავისუფლების მოწესრიგებას ვხვდებით სკსა და სგმ-ში. „ასეთ დროს, კონსტიტუციურსამართლებრივი ურთიერთობისგან განსხვავებით, სუბიექტებიც კერძო სამართლის პრინციპებით იბოჭებიან.“ მაგ. თუ რომელიმე სოც. ქსელის მომხმარებელმა დაწერა პოსტი, რომლის საფუძველზეც შეილახა სხვა პირის არაქონებრივი უფლება პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება სკ-სა და სგმ-ს ფარგლებში.<sup>48</sup>

## 2.2.2. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები;

უპირველეს ყოვლისა, როგორც მოგეხსენებათ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლოა ის შეიზღუდოს როდესაც დგება ამის საჭიროება, მაგალითად როდესაც ერთი პირის მიერ სხვა პირის უფლებებში ჩარევას აქვს ადგილი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით დასაშვების მისი შეზღუდვა: „კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.<sup>49</sup> სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს ითვალისწინებს თავად „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ჩანაწერებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონიც ითვალისწინებს შინაარსობრივ შეზღუდვებს, კერძოდ აღნიშნული კანონის მე-9 მუხლია 1-ლი პუნქტი: კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება:

„ა) ცილისწამებას; ბ) უხამსობას; გ) პირისპირ შეურაცხყოფას; დ) დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას; ე) მუქარას; ვ) პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას; ზ) რეკლამას, ტელემოკინგს ან სპონსორობას; თ) სამხედრო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, წევრის ან

<sup>47</sup> სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი, გვ. 146

იხ. თსს გადაწყვეტილება, 21.12.2018, №2/22022-18

იხ. სუს განჩინება, 07.05.2019, №ას1857-2018

<sup>48</sup> სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი, გვ. 117

<sup>49</sup> საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი მე-5 პუნქტი

თანამშრომლის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას; ი) თავისუფლებაადკვეთილი ან თავისუფლებაშეზღუდული პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;<sup>50</sup>

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა რასაკვირველია უნდა განხორციელდეს გამართლებული/ლეგიტიმური საფუძველით. როდესაც ვსაუბრობთ სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად გამოხატვის უფლებით სარგებლობა ხდება შეურაცხმყოფელი, გადაჭარბებული ფორმებით, როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, სოციალური მედიის საშუალებები არის ძალიან ფართო პლატფორმები საიდანაც მსოფლიოსაც კი შეგიძლია მიაწვდინო ხმა, გამოაქვეყნო საჯარო პოსტი, დაწერო კომენტარი და ისარგებლო სხვა საშუალებებით, ასევე შესაძლებელია რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ნეგატიური მიზნით ხორციელდებოდეს, მაგალითად პირი იყენებდეს სიძულვილის ენას, ავრცელებდეს ცილისმწამებლურ ინფორმაციას, ლახავდეს ადამიანის რეპუტაციას, პატივსა თუ ღირსებას, აყენებდეს სხვას შეურაცყოფას საჯაროდ რა დროსაც აუცილებლად უნდა შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. ასეთ დროს ნეგატიური ინფორმაციის გამავრცელებელი შესაძლოა გამოხატავდეს საკუთარ აზრსაც, თუმცა „აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა აზრის გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტურობას იმ გაგებით არ გულისხმობს, რომ პირმა ისაუბროს რაც სურს, არამედ აღნიშნულში მოიაზრება შესაძლებლობა, პირმა თავისუფლად დააფიქსიროს აზრი.“<sup>51</sup> „საჯაროდ პიროვნების შეურაცხყოფაზე შეიძლება გავრცელდეს ის ნორმები, რომლებიც ასეთივე პოზიციაზე სხვა გარემოებაში (მაგალითად, ქუჩაში, საჯარო სივრცეში) დაფიქსირებისას პასუხისმგებლობის წინაპირობა გახდა. აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა (მაშასადამე, მისი შეზღუდვა) შესაძლებელია პრევენციული მიზნებისთვის და უფლების დარღვევიდან გამომდინარე — შესაბამისი შედეგის გათვალისწინებით. თუ პირველ შემთხვევაში ქმედების განხორციელება იმ მიზანს ემსახურება, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვამ არ შელახოს სხვა პირის უფლებები, მეორე შემთხვევაში პირის უფლებები უკვე შელახულია და შეზღუდვის საჭიროებაზე მახვილდება ყურადღება. სწორედ პრევენციული მიზნების ჭრილშია განსახილველი სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობანი,<sup>52</sup> ცნობილია ის ფაქტი, რომ საჯარო პირებს თმენის ვალდებულება გააჩნიათ მათ მიმართ გამოქვეყნებული მაგალითად სოც. ქსელში დაწერილი კომენტარის მიმართ რომელიც მათ აკრიტიკებს, სხვა ფიზიკური პირებისგან განსხვავებით ისინი ვერ მოითხოვენ კომენტარის წაშლას, გარდა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევისა. „თავის მხრივ, საჯარო პირის განმარტებაში არ უნდა მოვიზროთ ნებისმიერი საჯარო პირი, რომელიც სგმ-ის ფარგლებში ექცევა. თითოეული შემთხვევის გათვალისწინებითაა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. მაგალითად, პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ მეტი ვალდებულება

<sup>50</sup>საკანონმდებლო მაცნე - სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონი - მე-9 მუხლის, 1-ლი პუნქტი

<sup>51</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 117

<sup>52</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 131

ვრცელდება, ვიდრე ცნობილი მსახიობის, თუ სპორტსმენის მიმართ და სხვ. შესაბამისად, ორივე მათგანზე ერთი წესის გავრცელება არ იქნება მართებული.<sup>53</sup>

მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ სხვისი უფლების დარღვევა, რომელსაც შედეგად თან სდევს შეზღუდვა შეიძლება აცილებულ იქნეს თავიდან თუკი პირი სოციალურ მედიაში თავის სათქმელს / პოზიციას / დამოკიდებულებას მართებული ფორმით გამოაქვეყნებს და არა აგრესიული / შეურაცხმყოფელი და სხვა. მაგალითად, თუ პირი კორექტული / მართებული ფორმულირებით გამოთქვამს საკუთარ აზრს სხვა პირზე, ეს შესაძლოა ადრესატისთვის აღმოჩნდეს უსიამოვნო, თუმცა ფორმულირებიდან გამომდინარე ვერ იქნება უფლების დარღვევა.

ინფორმაცია წარმოადგენს რეალურ ფაქტზე / გარემოებაზე დაფუძნებულ შეტყობინებას, რომლითაც ვრცელდება / შუქდება მოვლენა. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა მიზნით. შესაძლებელია მისი მცირედით მოდიფიცირებაც, რომელშიც არ მოიაზრება ალტერნატიული რეალობა, არამედ არსებითი მთავარი ფაქტების რეალობასთან შესაბამისად გადმოცემა, (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც მოწმობს, რომ ინფორმაციის გაშუქებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია რომ არ იყოს დიფამაცია, სხვა მხრივ, თუ ინფორმაცია შეესაბამება რეალობას, მაშინ ფაქტების წარმოჩენა ინფორმაციის გამავრცელებლის პროფესიონალიზმსა და შეხედულებაზეა დამოკიდებული<sup>54</sup>) მაგალითად რომელიმე პოლიტიკოსის მიერ გაკეთებული განცხადება მცირედი ცვლილებით იყოს გავრცელებული რომელიმე სოციალურ ქსელში, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოვა მის ნათქვამთან, თუმცა სულ სხვა იქნება შდემთხვევა თუკი საპირისპირო განცხადება გავრცელდება სოც. მედიის საშუალებით. ხშირი მოვლენა სოციალურ მედიაში Fake News-ების - ე.წ. „ცრუ ინფორმაცია“ გავრცელება ამ დროს კი, პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელის ზიანის განსაზღვრა. „მაგალითად, თუ „ხატია ელბაქიდემ“ თავის კედელზე განათავსა პოსტი შინაარსით, რომ საქართველოში შემოვიდა რუსის ჯარი და ამ პოსტის ნახვის შემდეგ „ნუცა ქლიბაძეს“ დაემართა გულის შეტევა, მაშინ შეიძლება „ხატია ელბაქიდის“ პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს (პრაქტიკული სირთულე მდგომარეობს ამ ორ ფაქტს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენაში).“<sup>55</sup>

„მაგალითისთვის განვიხილოთ Wikipedia-ში ინფორმაციის შემტანი პირი არ უნდა გათანაბრდეს ჟურნალისტთან ან ვებ-ადმინისტრატორთან, რომელსაც ინფორმაციის განახლება ევალება. ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება მისი პასუხისმგებლობა დადგეს, პირიქით, „Wikipedia-ში“ გამოქვეყნებულმა არასწორმა ინფორმაციამ შეიძლება პიროვნული

<sup>53</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 134, იხ. მაგალითად, აუეს გადაწყვეტილება, კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (Castells v. Spain), 23.04.1992, №11798/85; ასევე, აუეს გადაწყვეტილება, ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria), 08.07.1986, №9815/82.

<sup>54</sup> დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ (Dalban v. Romania), 28.09.1999, №28114/95

<sup>55</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 137

უფლებების ხელყოფაც კი გამოიწვიოს. შესაბამისად, პირმა ყველა ზომას უნდა მიმართოს, რათა არ დაარღვიოს სხვისი უფლებები. მაგალითად, თუ პირმა შეიტანა ინფორმაცია „Wikipedia-ში“ და შემდეგ მისთვის ამ ინფორმაციის ცვლილების თაობაზე გახდა ცნობილი, მან უნდა განახორციელოს დაუყოვნებლივი სარედაქციო კონტროლი. მიუხედავად ამისა, თუ პირველადი განთავსებით პირმა დაარღვია სხვისი უფლებები, ამ უფლებების მიმართ მას დაეკისრება პასუხისმგებლობა. ასეთ შემთხვევაში სირთულეს პირის იდენტიფიკაცია წარმოადგენს, თუ ვინ განახორციელა ეს ქმედება. მიუხედავად იმისა, რომ „Wikipedia“ გარკვეული დოზით აკონტროლებს ინფორმაციის განთავსების საკითხს, ეს ვერ გახდება საკმარისი მოცემულობა, რათა დაცულ იქნენ მესამე პირები უფლების შელახვისგან.<sup>56</sup>

„21-ე საუკუნე ახალი მედიის საუკუნეა, რომელშიც, უმთავრესად, ბლოგები, სოციალურ ქსელები, ონლაინ ენციკლოპედიები, სხვადასხვა სახის ფორუმი და ყველა ის ინტერნეტ-რესურსი იგულისხმება, რომელიც მომხმარებელთა მაქსიმალურ ჩართულობას და ინტერაქციას უზრუნველყოფს“.<sup>57</sup> ასეთი სოციალური რეალობის პირობებში საკმაოდ აქტუალური ხდება მოზარდებისათვის ზემოაღნიშნული გამარტივებული ინფორმაციის მიმოცვლის საშუალებების არსებობა, მათი განვითარება და გავრცელება. აღნიშნული საკითხის განხილვისას, ალბათ, ყველაზე უფრო სენსიტიურ და გავრცელებულ პრობლემად პირველ რიგში არასრულწლოვანთა მიმართ/მიერ გამოყენებული მხაგვრელობითო კომენტარები, ასევე, ე.წ. სიძულვილის ენა შეიძლება განვიხილოთ. მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული უკავშირდება არა მხოლოდ არასრულწლოვან პირებს, არამედ ზრდასრულ ადამიანებსაც თუმცა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონეა ეს პრობლემები არასრულწლოვნებთან მიმართებაში. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში ეს საკითხები სამართლებრივ დონეზე მოწესრიგებულია და დასჯადია იგივე „სიძულვილის ენის“ გამოყენება როგორც არასრულწლოვნების, ისე ზრდასრული პირების მიმართ. საქართველოში ასეთ მოწესრიგებას ვერ ვხვდებით რაც რეალურად დღევანდელი ქართული დემოკრატიის განვითარების დონის გათლისწინებით სავსებით გონივრულად მიმაჩნია, თუმცა სხვა საკითხია ამავე პრობლემის მსხვერპლი არასრულწლოვანი პირები. არაერთი ფსიქოლოგის მიერ გაჟღერებულა, რომ მოზარდის ნორმალურ განვითარებასა და მის

<sup>56</sup> სოციალური მედიის სამართალი - სერგი ჯორბენაძე, გვ. 141,

Schubert, Free Speech v. ‚Fake News‘: Aktuelle äußerungsrechtliche Haftungsfragen bei der Wikipedia, GRUR-Praxis 2019, 55.

Gomille, Negatorische Haftung der Wikipedia-Betreiberin, ZUM 2019, 69.

უპირატესად, აღნიშნული შეგნებულად მცდარი ინფორმაციის გავრცელებას ეხება. იხ. Unverzagt/Gips, Handbuch PR-Recht, 248.

LG Berlin, Urteil vom 28.08.2018, 27 O 12/17.

იგულისხმება არა საპასუხო მონაცემების განთავსება, არამედ — სხვა ვალდებულება. მაგალითად, ზიანის ანაზღაურება.

<sup>57</sup> [https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=5&tid=6&size=1\(last seen 09.09.2021 \(11:07\)\)](https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=5&tid=6&size=1(last seen 09.09.2021 (11:07)))

ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების მხრიდან მათი ქცევების, თუნდაც ვიზუალური გარეგნობის, ჩაცმის სტილისა თუ სხვა დეტალების შეფასება. სოციალური ქსელებში ხშირად შეხვედებით სხვადასხვა ჯგუფებს, გვერდებს, ბლოგებს, სადაც მოზარდთა გარეგნობა, ჩაცმულობის სტილი თუ მათი სხვა მახასიათებლები ხდება განხილვის საგანი, რასაც ხშირ შემთხვევაში ოყვება უდიდესი შეურაცხყოფა თუ მჩაგვრელობითი განცხადებებანი. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულს უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია მათ შორის ზრდასრულებზეც, თუმცა მოზარდების ფსიქოლოგია და მათი დამცვლობითი უნარები ბევრად უფრო მოუმწიფებელი და ჩამოუყალიბებელია, ამიტომაც საჭიროა, რომ აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად თუნდაც საკანონმდებლო დონეზე მოხდეს. ამ მხრივ მისასაღმებელია ბავშვის უფლებათა კოდექსის კონკრეტული მუხლები, რომლებიც არეგულირებს მაგალითად ბავშვთა მიმართ ძალადობისგან, ფსიქოლოგიური ზეწოლისგან დაცვას, რომელიც შესაძლოა ინტერნეტ სივრცეში განხორციელდეს, ასევე ინტერნეტ პროვაიდერის ვალდებულებას შექმნას ისეთი მექანიზმები, რომ მომხმარებლის მოთხოვნისას ბავშვთათვის საზიანო ინფორმაციის დაბლოკვა მოხერხდეს და მათთვის აღარ იყოს ხელმისაწვდომი და სხვა, <sup>58</sup>თუმცაღა მიმაჩნია, რომ ამ სივრცეში დასარეგულირებელი საკითხები მრავლადაა, განსაკუთრებით კი როდესაც საქმე ეხებათ არასრულწლოვნებს.

### თავი 3

3. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების უფლების მიმართება, პრობლემური საკითხები და ბალანსი მათ შორის.

გამოხატვის თავისუფლება როგორც წესი ყველაზე ხშირად არის დამიანის სხვა დანარჩენ ფუნდამენტურ უფლებათა პირისპირ. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ამ უფლებით სარგებლობას გააჩნია შესაბამისი პასუხისმგებლობები, ვალდებულებები. წინამდებარე ნაშრომის განსახილველი თითოეული თემის დეტალური განმარტების შემდეგ მნიშვნელოვანია აღვწეროთ ამ ორი ადამიანის ფუნდამენტური, მრავლისმომცველი უფლების მიმართება ერთმანეთთან.

აღნიშნული საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები როგორცაა აზრი და ფაქტი. ზემოთ უკვე აღინიშნა როგორ განიმარტება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის თანახმად „აზრი“, რომ ის არის შეფასებითი მსჯელობა, შესაძლოა შეხედულების გამოხატვა სხვა პირზე, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა. აზრთან დაკავშირებით არ ხდება შეფასება ან მტკიცება იმისა თუ რამდენად შეესაბამება ის სიმართლეს / რამდენად მცდარია და ა.შ. „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით“<sup>59</sup>, კვითხულობთ „სიტყვისა და თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში. „კომენტარის, შეფასებითი

<sup>58</sup> საკანონმდებლო მაცნე - ბავშვის უფლებათა კოდექსი

<sup>59</sup> საკანონმდებლო მაცნე - „სიტყვისა და თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

მსჯელობის, თვალსაზრისისა და სხვა შეხედულების გამოხატვა, რომელიც პოზიციის დაფიქსირებას, პიროვნების, საგნის ან მოვლენის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვას წარმოადგენს, სამართლებრივ ფარგლებში დაცულ ძირითად უფლებათა გამოვლინებად მიიჩნევა და იგი არ ჩაითვლება ცილისწამებად. თუ იგი შეიცავს უკვე მტკიცებას გარკვეულ საკითხთან მიმართებით, შესაძლებელია აღნიშნული არაქონებრივი ზიანის მიყენების საწინდარი გახდეს. თავის მხრივ, აზრის გავრცელება თანაბრად შესაძლებელი როგორც სიტყვიერად ან წერილობით, ასევე ნებისმიერი სხვა საშუალებით. მაგალითად, ქესტები, სიმბოლოები და სხვ.<sup>60</sup>

აზრისგან ნამდვილად განსხვავდება ფაქტი, რომელიც ეფუძნება რეალურ გარემოებებს და არის რეალური შედეგი, რომელიც შესაძლოა დადასტურდეს მტკიცებულებით. ფაქტი წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული გამყარების მნიშვნელოვან საფუძველსაც. ფაქტად ვერ მოვიაზრებთ ისეთ საექვო ქმედებას, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულება მისი უტყუარობის დასადაგენად, რაც მაშინათვე მიუთითებს იმაზე, რომ მისი გავრცელება ვეღარ იქნება კანონიერი.<sup>61</sup> “მაგალითად, თუ პირის მიმართ სისხლის სამართლებრივ დანაშაულზე მიუთითებენ, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან და სასამართლო განაჩენიდან გამომდინარე უნდა მიეთითოს ასეთ საქმეზე, რომელიც კანონიერ ძალაში იქნება შესული. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ჩაითვლება არა ფაქტად, არამედ პირის არაქონებრივი უფლებების შელახვად.”<sup>62</sup>

საკმაოდ ხშირად წარმოადგენს დიდ პრობლემას ერთმანეთისგან როგორ უნდა მოხდეს აზრისა და ფაქტის გამიჯვნა მათი საკმაოდ მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად აზრი შესაძლოა გამომდინარეობდეს კონკრეტული ფაქტიდან, ეყრდნობოდეს მას, ამიტომ აუცილებელია მისი შინაარსის შემოწმება, გამოხატვის ფორმის გააზრება და სხვ.<sup>63</sup>

დამატებით, ამ კუთხით საინტერესოა დასაშვები კრიტიკის, საზოგადოებრივი ყურადღებისა და ცნობისმოყვარეობის საკითხების მიმოხილვაც. საზოგადოებრივი ყურადღების განმარტებას ვხვდებით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონში, რომელიც განმარტავს, რომ ეს არის საზოგადოების ინტერესი და არა კონკრეტულ ცალკეულ პირთა ცნობისმოყვარეობა იმ მოვლენებისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის

<sup>60</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 12  
იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 29 მაისი 2012, N28/1297-12.  
სუს განჩინება, 7 მაისი 2004, Nას-721-1360-03.

კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, 2014, გვ. 211.

<sup>61</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 12

<sup>62</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 12  
სუს გადაწყვეტილება, 17 თებერვალი 2005, Nას-843-1095-04.

<sup>63</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 13

განხორციელებასთან. <sup>64</sup>გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში საინტერესოა რას ნიშნავს დასაშვები კრიტიკა, როდის არის დასაშვები ის ან რა საფუძვლით შეიძლება იყოს გამართლებული. როგორც მოგეხსენებათ საზოგადოებრივ ინტერესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, შესაბამისად ლოგიკურიცაა რიგ შემთხვევებში, როდესაც მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი კრიტიკა იყოს დასაშვები, თუმცაღა დეტალურად უნდა ჩაიშალოს აღნიშნული. უმეტესწილად, რეალობიდან გამომდინარე, ხშირად ვაწყდებით კრიტიკას პოლიტიკოსების, ამ ბოლო დროს კი ექიმების მიმართაც და სხვა საჯარო პირთა მიმართ. კრიტიკა მიემართება ხოლმე ხშირად მათ ქმედებებზე, გაკეთებულ განცხადებებსა თუ მაგალითად ექიმების შემთხვევაში მათ მიმართ უკმაყოფილებას. ასეთი უკმაყოფილების გამოთქმა დასაშვებია. ასევე დასაშვებია პოლიტიკოსთა ქმედებებსა თუ განცხადებებზე კრიტიკა, არსებობს პოლიტიკური თანამდებობის პირების შემთხვევაში ასეთი დათქმაც: <sup>65</sup> „რაც უფრო დიდია მისი პასუხისმგებლობა, დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული“. <sup>66</sup> რაც ლოგიკურია გამომდინარეობს მისი მეტად მნიშვნელოვანი საქმიანობიდან, რომლის მიმართაც გაცილებით დიდია ინტერესი, ვიდრე ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქის საქმიანობის მიმართ. საჯარო პირებს აქვთ თმენის ვალდებულება და მათ ეს ვალდებულება მოიცავს, რომ მათ დასაშვებზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ხშირად სწორედ მედიასაშუალებების მიერ ხდება ინფორმაციის გავრცელება, რომელთაც არ უნდა შელახონ პატივი და ღირსება არა მხოლოდ კერძო პირების არამედ საჯარო პირებისაც. როდესაც საქმე პატივსა და ღირსებას ეხება გამოხატვის თავისუფლება კონკრეტულ ჩარჩოებში ექცევა. „დასაშვები, ანუ საქმიანი კრიტიკა გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოში ჯდება მანამ, სანამ იგი არ გაცდება კანონით განსაზღვრულ ფარგლებს. პოლიტიკურ (ასევე პოლიტიკოსებზე) და მათთან გათანაბრებულ თანამდებობის პირებზე დასაშვებია თავისუფალი კრიტიკა, მათი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისთვის, თუ ასეთი სახის კრიტიკა (ასევე, გამოქვეყნებული ინფორმაცია) არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას. კერძოდ, თუ კრიტიკა მხოლოდ პირის საქმიანობას ეხება და მასში აღნიშნული არ იქნება კერძო ცხოვრების რაიმე ელემენტი. პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები არ შეიძლება გამართლდეს საზოგადოებრივი/საჯარო ინტერესით. აღნიშნულის საფუძველს კი, ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მედიის თავისუფლება შეზღუდული ხასიათისაა და ამ უფლებას აბსოლუტური ხასიათი არ გააჩნია. თავის მხრივ, საჯარო პირის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების ცნობისმოყვარეობით, რომელიც მის პირად ცხოვრებაზე იქნება მიმართული. ინტერესის ობიექტს იმ ფუნქციების განხორციელება უნდა წარმოადგენდეს, რის საფუძველზეც მას საჯარო პირის სტატუსი მიენიჭება. კერძო პირის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო შეზღუდულია. ასეთ შემთხვევაში

<sup>64</sup> საკანონმდებლო მაცნე - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1

<sup>65</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 10

<sup>66</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 10

კერესელიძე, გამოხატვის თავისუფლება, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-4, გვ. 620.

კანონით დაშვებული კრიტიკა შესაძლებელია, თუ კერძო პირი კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო მიზნისთვის ახორციელებს საქმიანობას. კრიტიკის ფარგლების განსაზღვრა ხდება პირის საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომლის პროპორციულადაც უნდა დადგინდეს კრიტიკის ფარგლები.<sup>67</sup>

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 თავის მე-13 და მე-14 მუხლებში ამოვიკითხავთ დეტალურად:

„პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.“

„პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.“<sup>68</sup>

„სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.“<sup>69</sup> „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მათ შორის, ცილისწამების საფუძვლით იმთავითვე დაუშვებელია, თუ აღნიშნული მოიაზრებს პირის მიერ საკუთარი მოსაზრების გავრცელებას. აზრის აბსოლუტური თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. ეს პრინციპი

<sup>67</sup> სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015, გვ. 10-11 ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე, მედიასამართალი, გვ. 77.; სუს განჩინება, 21 ივლისი 2004, Nას-322-605-04. სუს განჩინება, 28 იანვარი 2004, Nას-84-791-93. ;სუს გადაწყვეტილება, 25 ივნისი 2002, N3კ-337-02.; სუს გადაწყვეტილება, მარტი 2002, N3კ/1044.; იხ. ბარაბაძე, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა

განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, 4(31)11, გვ. 116.; სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი 2001, N3კ/376-01.; იხ. სუს განჩინება, 14 ივნისი 2006, Nას-1106-1352-05.; იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, საქმე თამერი ესტონეთის წინააღმდეგ (Tammer v. Estonia, 41205/98, 2001); სუს განჩინება, 3 აპრილი 2012, Nას-1477-1489-2011.; იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, საქმე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria, 9815/82, 1986); იხ. კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, გვ. 155.

<sup>68</sup> სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები

<sup>69</sup> სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი



განმტკიცებულია „სიტყვისა და თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. კანონი ითვალისწინებს „აზრის“ განმარტებასაც. კერძოდ, „აზრში“ იგულისხმება: შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას“<sup>70</sup>

რაც უკვე ნათლად დავინახეთ ზემოაღნიშნული განხილვის შემდეგ, არის ის, რომ გამოხატვის თავისუფლება და პატივისა და ღირსების უფლებები ერთმანეთს ხშირად ეკვეთებიან, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ვსაუბრობთ სოციალური მედიის ჭრილში, სადაც ძალიან ფართოა გავრცელების არეალი, მაღალია მომხმარებელთა აქტიურობა, რომლებიც სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, შესაბამისად იზრდება რისკიც რომ საქმე გვექნება ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ, ცილისმწამებლურ, სიძულვილის ენის წამახალისებელ განცხადებებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს უფლებათა შორის ისეთი ბალანსის დაცვა, რომელიც ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოვა და ორივე უფლების ხელშეუხებლობა იქნება უზრუნველყოფილი.

#### თავი 4

#### 4. ქართული და საერთაშორისო ასამართლო პრაქტიკა

ესტონურმა ელექტრონულმა საინფორმაციო პორტალმა „დელოფიმ“ 2006 წელს გამოაქვეყნა სტატია, რომელიც უკავშირდებოდა კერძო კომპანიის საქმიანობას, რასაც მოჰყვა მომხმარებელთა მხრიდან შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი გამოხმაურებები. კომპანიამ მოითხოვა კომენტარების წაშლა და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს 500 000 კრონას. საინფორმაციო პორტალმა, მართალია წაშალა კომენტარები, თუმცა ზიანის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა.<sup>71</sup>

„ესტონეთის სასამართლოს აზრით, მომხმარებლების მიერ კომენტარების სივრცე გამიჯნულია ჟურნალისტური სივრციდან. თუმცა, შემდგომში სააპელაციო სასამართლომ წინა ინსტანციის გადაწყვეტილება მცდარად ჩათვალა და საქმე ხელახლა გადაისინჯა. ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, საინფორმაციო პორტალი ჩაითვალა კომენტარების „გამომქვეყნებლად“ და შესაბამისად, ვერ გაექცეოდა პასუხისმგებლობას მის გამო. სასამართლომ მიიჩნია რომ კომენტარების მიმართ არსებული რეგულაციები არ იყო საკმარისი ხალხის უფლებების დასაცავად. აღსანიშნავია, რომ თვითონ სტატიის შინაარსის მიმართ სასამართლოებს არ ჰქონიათ პრეტენზია. საბოლოოდ, ესტონეთის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რომ სიტყვის თავისუფლება არ ვრცელდება შეურაცხმყოფელ კომენტარებზე და აღიარა კერძო კომპანიის უფლებების დარღვევა, რომელსაც

<sup>70</sup> [https://idfi.ge/public/upload/FBarticle/Freedom\\_of\\_Expression\\_final.pdf](https://idfi.ge/public/upload/FBarticle/Freedom_of_Expression_final.pdf) (last seen 09.09.2021; 11:04 PM)

<sup>71</sup> <https://jelec.iliauni.edu.ge/delfi-as-v-estonia/> (last seen 09.09.2021; 11:04 PM)

აკრიტიკებდნენ საინფორმაციო პორტალის – „დელფის“ მომხმარებლები. სასამართლომ დელფი გაამტყუნა მიუხედავად იმისა, რომ კომენტარების წინასწარი მოდერირება არ ხდებოდა; საიტზე მითითებული იყო, რომ პორტალი არ იღებდა პასუხისმგებლობას მომხმარებლების კომენტარებზე და არ გამოხატავდა სააგენტოს პოზიციას; ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება ეძლეოდა შეტყობინება გაეგზავნა სააგენტოსთვის, მიეთითებინა შეურაცხმყოფელი კომენტარი და მოეთხოვა წაშლა (რაზეც რედაქცია რეაგირებდა მუდმივად); პირს, რომელსაც შეელახებოდა რეპუტაცია აღნიშნული კომენტარებით, ასევე შეეძლო მოეთხოვა კომენტარების წაშლა.<sup>72</sup>

შემდეგი ნაბიჯი იყო ევროპის სასამართლო, რომელსაც დელფიმ მიმართა 2009 წელს იმ საფუძველით, რომ ესტონეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ევროპული კონვენციის მეათე მუხლს არღვევდა, ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებას. „პორტალის, და არა კომენტარების ავტორების „დასჯა“, არ პასუხობდა ლეგიტიმურ საჯარო მიზანსა და არ აყენებდა დემოკრატიულ საზოგადოებას საფრთხეს. არსებული რეგულაციები საკმარისი იყო აღნიშნულის დასაცავად.“ ესტონეთის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, სააგენტოს ინდივიდუალურად უნდა გაეკონტროლებინა კომენტარები, მაშინ როდესაც მომხმარებლების რიცხვი იყო საკმაოდ დიდი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით „დელფის“ შეეძლო და უნდა განესაზღვრა ის სავარაუდო შედეგები, რომელიც შეეძლო საინფორმაციო პორტალზე დატოვებულ კომენტარებს გამოეწვია. სასამართლომ მიიჩნია, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვა სრულებით პასუხობდა ლეგიტიმურ საჯარო მიზანს. სასამართლომ დაადგინა ისიც, რომ კომენტარები ერთმნიშვნელოვნად შეურაცხმყოფელი იყო და სააგენტოს არ გაუტარებია შესაბამისი ზომები მის წასაშლელად, სააგენტოს მოქმედებებს ხელს უწყობდა ის მომენტი რომ საიტზე ანონიმურადაც შეიძლებოდა კომენტარის დატოვება, რაც ართულებდა პასუხისმგებლობის დაყენების საკითხს მომხმარებლების მიმართ, რაც ზოგადადაც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი ამ სფეროში. ასევე, სასამართლომ მიუთითა, რომ ესტონეთის სასამართლოს მიერ დაკისრებული ზიანის ანაზღაურება არ ყოფილა არაპროპორციული ჯარიმა. ევროპის სასამართლო დაკვნით ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილება იყო პროპორციული გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საკითხში, რამაც გამოიწვია კრიტიკა („სასამართლომ არ გაითვალისწინა ეროვნული სასამართლოს სიტყვის თავისუფლების დაცვის სტანდარტები, „დელფის“ ცნობა მოხდა როგორც კომენტარების გამომქვეყნებლის, რომელზეც არ გავრცელდა ინტერნეტ სერვისებზე დადგენილი შეზღუდული პასუხისმგებლობა, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის სამართლით და მრავალი საერთაშორისო აქტით“)

<sup>72</sup> <https://jelec.iliauni.edu.ge/delfi-as-v-estonia/> (last seen 09.09.2021; 11:04 PM)

„2014 წელს საქმე გადაეცა ევროპული სასამართლოს დიდ პალატას. მისი გადაწყვეტილება 2015 წლის 16 ივნისს გამოქვეყნდა (Delfi AS v. Estonia (no.64569/09).) დიდმა პალატამ გაიზიარა წინამორბედი გადაწყვეტილება და 15 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაადასტურა, რომ ამ საქმეში არ გვხვდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.“

„დელფის“ ადვოკატი კარმენ ტურკი მსჯელობას ამყარებდა ლოგიკაზე, რომ „გამოხატვის თავისუფლება ეხება ინტერნეტ მომხმარებლების შექმნილ შინაარსსაც ისეთი შუამავლისთვის, როგორც საინფორმაციო პორტალია, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ რის გავრცელება შეიძლება ინტერნეტში და რის არა. „ყოველ წუთს ვიდეო პორტალ youtube-ზე იტვირთება 130 საათის ხანგრძლივობის ვიდეო ჯამში, Facebook-ზე თავსდება 40 000 შეტყობინება, wordpress-ზე 2000 ბლოგი. ეს ციფრები ნათლად აჩვენებს მისი მიდევნებისა და გადამუშავების ფაქტობრივ შეუძლებლობას.“ „<sup>73</sup>

სასამართლოს მხრიდან ყურადღება გამახვილდა იმ საკითხზეც, რომ მიუხედავად იმისა რომ შინაარსობრივად საკმაოდ ნეიტრალური ხასიათის იყო გამოქვეყნებული სტატია მაინც შესაძლო და სავარდულო / მოსალოდნელი იყო მომხმარებელთა მხრიდან მწვავე კომენტარები. ასევე, ყურადღება გამახვილდა ისეთ დეტალზე, როგორცაა დელფის მიერ ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ სტატიებზე დელფის მიერვე განთავსებული კომენტარების ველი, რათა მოეზიდა მომხმარებლები და მათ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრები, ამასთანავე, ის თავად მოუწოდებდა მომხმარებლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრები კომენტარი რაც სასამართლომ ახსნა კომპანიის კომერციული ინტერესით. სასამართლოს მოსაზრებით კომპანიას შეეძლო გაეკონტროლებინა კომენტარებისთვის განკუთვნილი სივრცე, ამასთან, კომპანიის მიერ საკუთარ პორტალზე გამოქვეყნებული წესების შესაბამისად, მომხმარებელს უკანონო, შეურაცხმყოფელი, მუქარის შემცველი და ა.შ მსგავსი შინაარსის მქონე მოსაზრების განთავსება ეკრძალებოდა. ევროპულმა სასამართლომ განიხილა კომენტარების ავტორთა პასუხისმგებლობის დაკისრების ალტერნატიული შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს განამრტებით მომხმარებლისთვის ანონიმურობა ხშირად არის საინტერესო, ვინაიდან ასე თავისუფლად, ყოველგვარი არასასურველი შედეგების გარეშე, შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრები იდეები, ინფორმაცია გაავრელოს მარტივად. სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ ინტერნეტ სივრცეში უამრტივესია ინფორმაციის გავრცელება, სადაც ის იარსებებს ხანგრძლივად რის შედეგადაც ინტერნეტ სივრცე არის მაღალი რისკის შემცველი და შესაძლოა სავალალო შედეგებიც დადგეს აღნიშნულის გათვალისწინებით. თუმცათა, აღინიშნა ისიც, რომ შესაძლოა ანონიმური ანგარიშით მოსარგებლე პირის იდენტიფიცირება ბევრად მარტივი და ხელშესახები იყოს

<sup>73</sup> <https://jelec.iliauni.edu.ge/delfi-as-v-estonia/> (last seen 09.09.2021; 11:04 PM)

მომსახურების გამწევის მიერ სხვადასხვა ინფორმაციის საფუძველზე როგორცაა: ელ. ფოსტა, სხვა საკონტაქტო მონაცემები და სხვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყურადღება გამახვილდა გადაწყვეტილების შედეგზე, რომელსაც ნამდვილად არ მოუტანია ზიანი აღნიშნული კომპანიისათვის, ის კვლავაც რჩება ესტონეთის ერთ-ერთ პირველ და წამყვან ინტერნეტ პორტალად, სადაც კვლავაც იზრდება მომხმარებელთა რიცხვი და კომენტარების განთავსების საშუალება კვლავც არსებობს, ასევე საკმაოდ მაღალია აქტიურობაც (იგულისხმება ანონიმური მომხმარებლების აქტივობაც). კომპანიას არ დაჭირვებია არც ბიზნეს მოდელის შეცვლა გადაწყვეტილების გამო. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მხრიდან კომენტარების მოდერაციის მიზნით განხორციელდა მორატორთა ჯგუფის შექმნა.<sup>74</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868- 2017

განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები უკავშირდება ჟურნალისტის სარჩელს, რომელიც კახეთის გუბერნატორის წინააღმდეგ არის მიმართული. განსახილველი ქეისის თანახმად, მოსარჩელე მხარე ითხოვს მოპასუხე მხარეს სასამართლო გადაწყვეტილებით დაეკისროს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული იყო სთაქია „ქეიფი ბიუჯეტის ხარჯზე-თ.თის დასახვედრად რესტორანში 2 350 ლარი დაიხარჯა“, თანხასთან დაკავშირებით კი ნახსენები იყო, რომ აღნიშნული რესტორანში დახარჯული თანხა ახმეტის ბიუჯეტიდან იყო გამოყოფილი, რაც მოწმობდა იმ ფაქტს, რომ კახეთის გუბერნატორის მიმართ არსებობდა ბრალდებები. ამასთანავე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გუბერნატორის ოჯახი მუნიციპალურ სპეცტექნიკასა და მუშებს უსასყიდლოდ იყენებდა, რა დროსაც დაიღუპა მუშა, რაზეც არ დაწყებულა გამოძიება. მოგვიანებით, 2015 წლის 24 აპრილს, საპასუხო ვიდეო გავრცელდა, სადაც მონაწილეობას იღებდა გუბერნატორი და ის აღნიშნავდა, რომ ინფორმაციის გავრცელების მიზეზი დაკავშირებული იყო მასსა და მოსარჩელეს შორის არსებულ პირად კონფლიქტთან, კერძოდ კი საინფორმაციო ცენტრთან, რომლის მესაკუთრეს და დირექტორს წარმოადგენს მოსარჩელე მხარე მოპასუხის განცხადებით, ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.<sup>75</sup>

„ხელშეკრულებები ყველა მუნიციპალიტეტში იყო ცალკე გაფორმებული. ყველა საკრებულოში იყო ცალკე გაფორმებული და საერთო ჯამში ეს თანხა შეადგენდა და ბატონი მოსარჩელე ღებულობდა იმაზე თითქმის ორჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე დღეს ღებულობს

<sup>74</sup> European Court of Human Rights - CASE OF DELFI AS v. ESTONIA (Application no. 64569/09)

<sup>75</sup> ქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, აღწერილობითი ნაწილი

მოქმედი გუბერნატორი. სწორედ ყოველთვიურად ამ თანხის დაკარგვის გამო იყო რამდენჯერ მუქარა, იყო შემოთვლა, იყო რამდენჯერ თქმა იმისა, რომ ეს თუ ესე არ იქნება, მაშინ მოიძებნება ალტერნატიული შემოსავლის წყარო,“

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად.<sup>76</sup> გუბერნატორს დაევალა მოსარჩელის მიმართ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა იმავე საშუალებით, რომლიდაც გავრცელდა აღნიშნული. სასამართლომ იმსჯელა გუბერნატორის მიერ გამოთქმული აზრის თუ არსებითად მცდარი ფაქტის საკითხზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და ასევე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე დაადგინა, რომ მოპასუხის (გუბერნატორი) მიერ გავრცელებული განცხადება საინფორმაციო ცენტრის შემოსავალთან დაკავშირებით მხდარ ფაქტს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ იმსჯელა საჯარო პირის, ამ შემთხვევაში გუბერნატორის, მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებზე, რომელიც არის ფართო განსხვავებით სხვა ფიზიკური პირების მიმართ არსებულ სტანდარტზე, რაც უკავშირდებოდა გუბერნატორის მიერ გავრცელებულ საპასუხო განცხადებას.<sup>77</sup>

წინამდებარე გადაწყვეტილების მაგალითზე ნათელი ხდება, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია რიგ შემთხვევებში. როდესაც ერთი ადამიანის მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობა, ამ შემთხვევაში მოპასუხის თვალსაზრისით მისი აზრის დაფიქსირება, რეალურად კი არსებითად მცდარი ფაქტების გაცხადებით ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა, იჭრება სხვა პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებში და არღვევს მას აუცილებელია მოხდეს მისი აღკვეთა და შესაბამისი ცნობების უარყოფა იმავე საშუალებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წ. 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nს103-98-2014, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ სოც. ქსელ Facebook-ის პირად ჩათში მოსარჩელესთან დაკავშირებით მიწერა მესამე პირს, რომ მოსარჩელეს არ დაუბრუნებია მისთვის ვალი და ამავე მესამე პირს მოპასუხებ სიფრთხილისკენ მოუწოდა შემდეგი სიტყვებით: „მოსარჩელე ქურდი და არამზადაა“, „ასეთ უპატიოსნო ადამიანს შეუძლია 1 ვერცხლად გაყიდოს ნებისმიერი“. მოსარჩელის მოთხოვნა ითვალისწინებდა რომ მოპასუხეს დაკისრებოდა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება (2012 წ. 10 დეკემბერი). სასამართლომ

<sup>76</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, სარეზოლუციო ნაწილი

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, სამოტივაციო ნაწილი

მიუთითა: „განაწყენებულმა და შეურაცხყოფილმა მოპასუხებმა მესამე პირთან პირად წერილში გამოხატა თავისი გულისწყრომა, უარყოფითი დამოკიდებულება მოსარჩელის პიროვნებისადმი იმით, რომ შეაფასა იგი კონკრეტული გამონათქვამით. მოპასუხის მიზანი წერილშივეა დაფიქსირებული, რაც გულისხმობს მოწოდებას წერილის ადრესატისადმი, ყურადღებით მოეკიდოს მოსარჩელესთან ურთიერთობას, აფრთხილებს, რომ დიდი ალბათობით თვითონაც არ აღმოჩნდეს მოსარჩელესთან ურთიერთობით გაწვილებული.“  
გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაც: „წერილის ტექსტი შესაძლებელია ატარებდეს შეურაცხმყოფელ ხასიათს, თუმცა, იგი არ წარმოადგენს რაიმე სახის ინფორმაციის შემცველ განცხადებას, იგი არ შეიცავს ფაქტის შემცველ ცნობებს პირის შესახებ.“

მოქალაქეს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრა. ყურადღება გამახვილებულ იქნა მიზანზე, რომ მოპასუხის წერილი მოიცავდა მის მოსაზრებებს, რომლის აბსოლუტური თავისუფლება არის დაცული.<sup>78</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას1559-1462-2012, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ Facebook-ის გამოყენებით მოპასუხე მხარემ მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობები გაავრცელა, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: მოსარჩელეს ბრალს სდებდა მისი ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობაში. მოსარჩელე ითხოვდა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფას მოპასუხის მხრიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი და მოპასუხე მხარეს დაევალა მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ ნაწილს, როდესაც მოპასუხის განმარტებით განცხადებები გამოქვეყნდა სოციალური ქსელის Facebook-ის მეშვეობით და ის მხოლოდ მისი დამეგობრებული პირებისთვის იყო ხელმისაწვდომი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ საჯაროდ არ გავრცელებულა მისი განცხადებები. აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ გააკეთა განმარტება საჯარო გავრცელებასთან დაკავშირებით: „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს „ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს.“  
რაც შეეხება სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასამართლომ აქცენტი გააკეთა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიმართ, რომელიც მეცნიერ-მუშაკი იყო, გაჩნდა ნეგატიური/არაჯანსაღი დამოკიდებულება სტუდენტების მხრიდან, დაიწყო მითქმა-მოთქმა,

<sup>78</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წ. 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას103-98-2014

რასაც ასევე მოჰყვა მოსარჩელის რეპუტაციის შელახვა და მისი დისკრედიტაცია, რადგან საზოგადოებამ ყოველივე ზემოაღნიშნული აღიქვა რეალურად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საფუძველზეც დაკმაყოფილდა სარჩელი.<sup>79</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სოციალური მედია საკმაოდ დიდი სივრცეა და მას სჭირდება რეგულირება იმისათვის რომ არ მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვა, მაშინ როდესაც თითოეულ ადამიანს უზღვავე შესაძლებლობები აქვს შელახოს სხვა პირთა პატივი და ღირსება. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია კონკრეტულ ფარგლებში და ჩარჩოებში მოექცეს ადამიანთა მიერ თავიანთი უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა სოციალური მედიის სივრცეში სხვათა უფლებათა დაცვის მიზნით. დეტალურად უნდა განისაზღვროს და ნაკლებად შეფასების საგანი უნდა იყოს ის, თუ რა არის ცილისწამება, რა შეიძლება მიიჩნიოს სასამართლომ ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვად, რათა ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების დარღვევა არ იყოს ხელშესახები თითოეული ადამიანისთვის და მაშინ როდესაც ვინმე დააპირებს უხეშად შეეხო ადამიანის ღირსებას, საჯაროდ, პოსტის გამოქვეყნების, ვიდეოს ატვირთვის თუ სხვა მეთოდებით გაავრცელოს ინფორმაცია რომელიც უკონტროლოდ შეიძლება გავრცელდეს პირადი შეტყობინების სივრციდანაც კი, დაფიქრდეს რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოყვეს ამ ყველაფერს. ერთი შეხედვით საკუთარი უფლებებით სარგებლობას (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება) ხოლო მეორე მხრივ სხვისი უფლებების შელახვას. მნიშვნელოვანია გაივლოს მკაფიო ზღვარი იქ, სადაც სრულდება საკუთარი უფლებებით სარგებლობა და იჭრება სხვის უფლებებში. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკითხი იმის თაობაზე, რომ ცილისწამების საკითხის გადაწყვეტისას საქართველოს კანონმდებლობა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონს ანიჭებს პრიორიტეტს, რაც ვფიქრობ, რომ არ რის სწორი მიდგომა და პატივისა და ღირსების დაცვის სტანდარტი არ უნდა იყოს სხვა უფლებებთან შედარებით დაბალი, მითუმეტეს როდესაც ვსაუბრობთ სოციალური მედიის ჭრილში, სადაც უამრავი საშუალება არსებობს იმისა რომ შეილახოს განსახილველი უფლება. პატივისა და ღირსების შემლახველი, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები უნდა შეფასდეს რეალურად და მის წინააღმდეგ უნდა დაიწყოს ბრძოლა.

თავი 5

## 5. დასკვნა

თანამედროვე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანწილად გამარტივებულია მრავალი სახის, კატეგორიისა და შინაარსის ინფორმაციაზე წვდომა. ნებისმიერი ასაკისა და შესაძლებლობის მქონე პირს თავისუფლად მიუწვდება ხელი გლობალურ დონეზე არსებულ სიახლეებზე,

<sup>79</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას1559-1462-2012



მრავალფეროვან სტატიებსა და ამასთან სხვათა შეხედულებებზე ამ მოვლენებთან დაკავშირებით. ყოველივე ამას უზრუნველყოფს სოციალური მედია, რომელიც უზომოდ მოქნილი, სწრაფი და მარტივად ხელმისაწვდომია.

სოციალური მედიის, განსაკუთრებით კი ნაციონალურ დონეზე, ერთ-ერთ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს არასრულწლოვანთა უფლებების ინტენსიური დარღვევის შესაძლებლობა, რამაც შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს მოზარდთა განვითარების კუთხით, არსებული რეგულირება, რომელიც ბავშვების უფლებათა კოდექსში გაწერილია მისასაღმებელია, თუმცა საჭიროდ მიმაჩნია, აღნიშნული საკითხის სამართლებრივ დონეზე უფრო დეტალური რეგულირება. ასევე, არსებითად მნიშვნელოვანია თავად მშობლების ჩართულობის გაზრდა ზემოთდასმული პრობლემების შესამსუბუქებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა სოციალურ მედიაში მნიშვნელოვანია არსებობდეს ამ უკიდევანო შესაძლებლობების მქონე სივრცის მარეგულირებელი კანონი, რომელიც შეზღუდავს რიგი უფლებების დარღვევას, რომელიც ადამიანებს მინიჭებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და აღიარებულია საერთაშორისო აქტებით. აღნიშნული სფერო სხვა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით არის რეგულირებული მაღალ დონეზე, რაც ნამდვილად გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია.

შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა თუ რატომ არის აუცილებელი რეგულირებული იყო სოციალური მედია და რატომ არ არის საკმარისი ის ზოგადი რეგულირებები რაც უკვე არსებობს და შესაძლებელია ანალოგიის გზით გამოვიყენოთ, ასევე შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ მაგალითად ბეჭდური მედიის კანონიც არ არსებობს და სოციალური მედიის ნაწილში რატომ არის მისი არსებობა აუცილებელი. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული რეგულირებები გარკვეულ დონეზე არის გამოსადეგი, თუმცა როდესაც სოციალური მედიის სპეციფიკურ და განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ჩავუღრმავებთ, რომელიც უამრავ შესაძლებლობას იძლევა გავრცელდეს დეზინფორმაცია, შეილახოს ადამიანის პატივი და ღირსება, გამოხატვის თავისუფლებას მიეცეს შეუზღუდავი და უკონტროლო ფარგლები, სიმულვილის ენას ჰქონდეს დაუსრულებელი ხასიათი, ამასთანავე რაც ყველაზე შემაშფოთებელია დიდია იმის შესაძლებლობაც რომ ადამიანის უფლების შემლახველი ქმედებები ხორციელდებოდეს ანონიმური ანგარიშის მქონე პირების მიერ, რომელთა დადგენა და რომელთა პასუხისმგებლობის საკითხი დიდი კითხვისნიშნის ქვეშ დგას. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვიტყვით რომ იმ უამრავ დეტალს, ქმედებას, რომელიც შესაძლოა სოციალური მედიის საშუალებით გავრცელდეს და არღვევდეს სხვათა უფლებებს მხოლოდ ზოგადი რეგულირებით ამოვწურავთ. მხოლოდ სპეციალური კანონი შეიძლება იყოს იმის გარანტია რომ აღნიშნულ სფეროში შეიზღუდოს სხვათა უფლებების დარღვევა, პატივისა და ღირსების შელახვა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც არა აბსოლუტურ უფლებას ჰქონდეს ჩარჩოები და მის ფარგლებში, რათქმუნდა მოიაზრება გონივრული ფარგლები, ხდებოდეს



მისით სარგებლობა. აქვე დავამატებდი, რომ თუნდაც ბეჭდური მედიის მომწესრიგებელი კანონის არარსებობა არ შეიძლება შევადაროთ სოციალურ მედიას, სადაც ინფორმაციის გავრცელების უკდიეგანო შესაძლებლობებია, სადაც ისიც კი მოსალოდნელია რომ სრულიად ანონიმურად მოხდეს სხვისი უფლებების შელახვა. ბეჭდურ მედიაში კი გაცილებით მარტივია მედიის მფლობელის დადგენა მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და თუნდაც გავრცელებული სხვისი პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის უარყოფა, საპასუხო ცნობების გავრცელება და ა.შ, რომელზეც მრავალი სასამართლო გადაწყვეტილებაც არსებობს, რასაც ვერ ვიტყვით თამამად სოციალურ მედიაზე, რომელიც კიდევ უფრო ვითარდება და იხვეწება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც აღნიშნულია, რომ ინტერნეტი მილიარდობით ადამიანის ხელშია და მისი რეგულირება და კომტროლის ფარგლები / მექანიზმები უნდა იყოს გაცილებით მკაცრი ვიდრე ბეჭდური მედიის, ვინაიდან ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებით ადამიანის უფლებებისთვის ზიანის მიყენების ბევრად მაღალი რისკები არსებობს.<sup>80</sup>

განსახილველი თემა, გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების დაცვა სოციალურ მედიაში და მათი მიმართება არის ერთ-ერთი კრიტიკული საკითხი, მათ შორის ყველაზე ხშირად პრობლემურიც, ვინაიდან ეს ორი უფლება უემტესწილად დგება ერთმანეთის პირისპირ და საჭირო ხდება გადაწყვეტილების მიღება რომელი შეიზღუდოს რომლის ხარჯზე. დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის კი არსებითად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული უფლებები (გამოხატვის თავისუფლება და პატივი და ღირსება) უზრუნველყოფილი იყოს უმაღლეს დონეზე ყველა სფეროში, მით უემტეს როდესაც ვსაუბრობთ სოციალურ მედიაზე, რომელიც ამ საუკუნის შენაძენია, სადაც ყველას შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი (კრიტიკული, დადებითი, ნეგატიური და ა.შ), დააფიქსიროს პოზიცია, შეაფასოს საჯაროდ პოლიტიკური თუ სხვა სახის მოღენები, მოახდინოს რეაგირება საჯარო პირების ქმედებებზე, გაიმართოს დისკუსია სხვადასხვა თემებზე, დაორგანიზდეს თუნდაც საარო შეხვედრები, აქციები, ივენთები და სხვა მრავალი რამ. აღსანიშნავია ის რისკებიც რაც თან ახლავს ამ შესაძლებლობებს, რაც გამოიხატება დეზინფორმაციის გავრცელებაში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, სხვისი პატივისა თუ ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებაში, ცილისწამებაში, არანაკლებ პრობლემურია სოც. მედიაში სიძულვილის ენის, უხამსობის გავრცელებაც და სხვა. ყოველივე ჩამოთვლილი გამოხატვის თავისუფლებას აყენებს ჩრდილს და აკნინებს სხვა უფლებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული რეგულირებებისა არსებობს სოციალურ მედიაში რეგისტრაციამდე კონკრეტული პლატფორმების თვითრეგულირების მექანიზმები, რომელშიც იგულისხმება ის წესები და პირობები, სტანდარტები, რომელსაც ეთანხმება მომხმარებელი, თუმცა რასაკვირველია აღნიშნული არ

<sup>80</sup> European Court of Human Rights, Editorial Board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine

არის საკმარისი ბერკეტი ყველა ზემოთჩამოთვლილი პრობლემური საკითხის აღმოსაფხვრელად, სწორედ ამიტომ სახელმწიფო არის იმის გარანტი რომ ღიად / რეგულირების გარეშე დარჩენილი საკითხები, რომლებიც კავშირშია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან იყოს შევსებული და არ გაჩნდეს კითხვის ნიშნები მაშინ, როდესაც დაისმება საკითხი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას უკანონო, საზიანო, სხვისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების თუ სხვა გავრცელებით მიყენებული ზიანის დროს რა ქმედითი ბერკეტები არსებობს. თავის მხრივ სოციალური პლატფორმების მიერ აუცილებლად მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ზიანის მომტანი ინფორმაციას რა ბედი უნდა ეწიოს, რა მექანიზმები უნდა ამუშავონ ასეთ დროს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დროულად. რასაკვირველია, ეს არ გულისხმობს რომ უნდა შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, თუმცა აუცილებელია კონკრეტული მინიმალური სტანდარტის განსაზღვრა, რათა ამხელა შესაძლებლობების მქონე სივრცეში უკონტროლო არ გახდეს ყალბი, შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება და სხვა. ბალანსი არის ის, რაც ამ სფეროში უნდა იყოს უპირობოდ დაცული განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების უფლებების ნაწილში. უმნიშვნელოვანესია და ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება საკითხი იმის თაობაზე თუ ვინ უნდა აგოს პასუხი. ინფორმაციის გავრცელება, მოგეხსენებათ, ხშირად ხდება ანონიმურადაც. აქ კი უნდა არსებობდეს რაიმე დამატებითი ბერკეტი, რაც თავიდან აგვარიდებს ანონიმური ანგარიშის მქონე პირების მხრიდან ინფორმაციის გავრცელებას, რადგან ყველაზე რთული სწორედ ამთი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაა და არსებულ სიტუაციაში ასეთი პირები ძალიან მარტივად არიდებენ თავს პასუხისმგებლობას. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი თანახმად: „მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე.“<sup>81</sup> აქვე აღბათ შეიძლება გაჩნდეს შეკითხვა ვინ არის სოციალური მედიის მესაკუთრე? მაგალითად სოც. ქსელი ფეისბუქის მაგალითზე, შესაძლოა კი ეს იყოს მარკ ცუკერბერგი? ვფიქრობ, არ იქნება ამგვარი რამ რელევანტური, შესაბამისად თამამად შეიძლება ვისაუბროთ უფრო რელევანტური, რეალობაზე მორგებული ბერკეტების საჭიროებებზე.

---

<sup>81</sup> საკანონმდებლო მაცნე - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლი.

## ბიბლიოგრაფია

### გამოყენებული ლიტერატურა:

- სერგი ჯორბენაძე - სოციალური მედიის სამართალი
- სერგი ჯორბენაძე, უმანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - მედიასამართალი
- სერგი ჯორბენაძე - მე-18 მუხლის კომენტარი
- ნინიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I
- მიხეილ ბიჭია - პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - სპეციალური გამოცემა 1948-2008
- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი

### საქართველოს კანონმდებლობა:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ
- საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ
- საქართველოს კანონი - ბავშვის უფლებათა კოდექსი

### გადაწყვეტილებები:

- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-938-2020
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები- გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ
- კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (Castells v. Spain)
- ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria)
- დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ (Dalban v. Romania)
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წ. 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას103-98-2014
- European Court of Human Rights, Editorial Board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას1559-1462-2012

- Delfi AS v. Estonia (no.64569/09)

მე, ნინო სხილაძე ვადასტურებ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალს და შესრულებულია ჩემ მიერ. წინამდებარე ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს და შესაბამისი ლიტერატურა მითითებების გარეშე არ გამოყენებულა.